



ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1934 წლის
ივლისის 30

№ 11-12

გ ა ნ ც ა თ ი ლ უ მ ა შ ი რ ე ლ ი

ა/კსფსრ სახალხო კომისარ-
თა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის პრეზიდიუმისა.

მუხ. 97. „აზნეფის“ სანავთო სარეწათებში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ.
98. ოთხთუხი საქონლის საგადასახადო, აღრიცხვის უკეთესად ჩატარებისათვის გარდამავალი
წითელი დროშის დაწესების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.

- 99. 1934 წელს თივის მოსავლის აღების კამპანიის გეგმის შესახებ.
- 100. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ ნატურსასყიდლად მიღებული კარხლის ჩაბარების გეგმის შესახებ.
- 101. უძროხო კოლმეურნეთათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ.
- 102. ბრუელლეთთან ბრძოლის საქმის მოწყობის შესახებ.
- 103. 1934 წლის ივნის-ივლისში ოთხთუხი საქონლის აღრიცხვის ჩატარების შესახებ.
- 104. 1934 წლის საფინანსო გეგმის უკეთესად შესრულების ამიერკავკასიის კონკურსის შესახებ.
- 105. ა/კსფსრ ურფლსო გზების კლასიფიკაციის შესახებ.
- 106. „ცენტროპლოდოვოჟნის“ ამიერკავკასიის კონტორის ლიკვიდაციის შესახებ.
- 107. ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ლიკვიდაციის შესახებ.
- 108. სვიის გაშენების საქმის განვითარების შესახებ.
- 109. სანაშენო ცნოველთა გამოზრდის გეგმის შესახებ.
- 110. 1934 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ.
- 111. 1935 წელს საქონლის საკვები ბალახის თესვის გეგმისა და ამ ბალახის თესლის ჩაბარების სტიმულირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.
- 112. ა/კსფსრ-ში მეკამეჩობის განვითარების შესახებ.
- 113. ამიერკავკასიის რესპუბლიკანური სევაჭრო ორგანოებისათვის მოსკოვში შემსყიდველი კონტორის მოწყობის შესახებ.
- 114. 1935 წელს საგზაფხულო კულტურებისათვის მძრალად ხენის ჩატარების შესახებ.
- 115. 1934 წელს აზერბაიჯანის სსრ-ში და საქართველოს სსრ-ში ბოსტნეულის საშემოდგომო ოყვის გეგმის შესახებ.
- 116. 1935 წელს ა/კსფსრ სოფლებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაყვთო დაზღვევის შესახებ.

1573.

**დადგენილმა ანიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის
36-ე სესიის დასრულების
შედეგად.**

97. „აზნევის“ სანავთო სარეწაოებში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ.

მოისინა-რა ბაქოს საბჭოს (ამხ. კორნეევი) მოხსენება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებისა (ამხ. ალანია) და აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების (ამხ. ყასიმოვი) თანამოხსენებანი „აზნევის“ სანავთო სარეწაოებში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ, — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში აღნიშნავს, რომ „ბაქოს, ტფილისის და ერევნის სამრ. საწარმოთა სადეპუტატო ჯგუფების მუშაობის შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. სექტემბრის 29-ის გადაწყვეტილების საფუძველზე ბაქოს საბჭომ გაათავისუფლა, წინა წლებთან შედარებით, დეპუტატთა ჯგუფების ქსელი სანავთო სარეწაოებში (115 წინააღმდეგ 60) და მიაღწია ზოგრამ წარმატებას ცალკეული დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესების სფეროში: ბრძოლა მოცდენილი ჭაბურღილების ამუშავებისათვის (ლენინის რაიონის მე-8 და 20 ჯგუფები), შინასარეწაო რესურსების მობილიზაცია (ამხ. კავანოვიჩის სახელობის სარეწაო), რეიდების მოწყობა ღამის ცვლათა მუშაობის გასაუმჯობესებლად (ამხ. მიქოიანისა და ამხ. მოლოტოვის სახელობის სარეწაოები) და სადეპუტატო ჭაბურღილების მოწყობა (ამხ. კავანოვიჩის სახელობის სარეწაო).

ხოლო ამ მიღწევებთან ერთად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში აღნიშნავს, რომ დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის ხარისხი და შინაარსი ჯერ კიდევ არ შეესაბამება მიმდინარე მომენტის მოთხოვნათ და როდი უზრუნველყოფს მთელი საბჭოთა აქტივის ყურადღების მობილიზაციას ნავთის პროგრამის შესრულების საკითხების გარშემო.

დეპუტატთა ჯგუფების მუშაობაში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი, სახელდობრ:

ა) საკმარისად გაშლილი არ არის უშუალოდ სარეწაოებში მუშათა და საინჟინერო-სატექნიკო მომუშავეთა შორის მასშური საბჭოთა მუშაობა ნავთის გეგმის აღსრულების საკითხების გარშემო; არადაამაკმაყოფილებელია მუშაობის თვისება მთელი რიგი სადეპუტატო ჯგუფებისა, რომელთაც ვერ მოუწყვიათ კონკრეტული მუშაობა მოცდენილი ჭაბურღილების ამუშავებისა, ავარიების ლიკვიდაციისა და სხვა მისთანებისათვის ბრძოლის სფეროში;

ბ) წესიერად არ არის მოწყობილი დეპუტატთა ჯგუფები ექსპლოატაციისა და ბურღვის მთელ რიგ ჯგუფებში ცეხების ლიკვიდაციის შემდეგ (ერთი

სადეპუტატო ჯგუფის არსებობა ექსპლოატაციისა და ბურღვის რამდენსამე ჯგუფთან);

გ) დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის მოშლა ამხ. სტალინის სახელობის სარეწაოს ცალკეულ სარეწაო ჯგუფებში;

დ) არაღამაკმაყოფილებლად შესრულება ბაქოს საბჭოს მიერ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. სექტემბრის 29-ის დირექტივისა „დეპუტატთა ჯგუფებისათვის ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ“ (არ არსებობს სარაიონო საბჭოების მხრით საქმიანი, კონკრეტული ხელმძღვანელობა, სათანადო სიმაღლეზე არა სდგას საინსტრუქტორო აპარატი, დაბალი ხარისხისაა დეპუტატთა ჯგუფების ინსტრუქტაჟი);

ე) საკმარისი ენერგიით არა სწარმოებს ბრძოლა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით ახლო ხანში მოსული კოლმეურნეებისა;

ვ) სუსტად აქვთ ათვისებული ნავთის საქმის ახალი ტექნიკა თვით სადეპუტატო ჯგუფების წევრებს;

ზ) გრძელდება მუშაობის ძველი ფორმებისა და მეთოდების გამოყენების პრაქტიკა, რაც ვერ უზრუნველყოფს მორიგ ამოცანათა აღსრულებას ((ცხუბრი სადეპუტატო ჯგუფების მოწყობა საბრიგადო ჯგუფების ნაცვლად, საკითხების დაყოფნებით მსვლელობა და სხვა მისთ.).

სანაფთო სარეწაოებში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით-კი—ახალ სარეწაოებში,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ვინაიდან მასსური საბჭოთა მუშაობა „აზნევის“ სარეწაოებში გაშლილ უნდა იქნეს ნავთის ამოდების რეალური წლიური პროგრამის შესრულების საკითხების გარშემო (22 მილიონი ტონნა ნავთი და გაზი),—წინადადება მიეცეს ბაქოს საბჭოს ძირითადად გააუმჯობესოს სანაფთო სარეწაოებში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის შინაარსი, მიიჩნიოს-რა, რომ დეპუტატთა ჯგუფების ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ნავთის პროგრამის შესრულების საკითხთა გადაწყვეტას, როგორც არის:

ა) დეპუტატთა ჯგუფის თვითიული წევრის მიერ საწარმოო დავალებათა სამაგალითოდ შესრულება; სადამკვრელო ბრიგადების მოწყობა; საწარმოო თვითანგარიშგების საქმის დაყენება; მთელი აქტივის სატექნიკო სწავლებით მოცვა;

ბ) სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დადასტურებული, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე „აზნევის“ სისტემის გარდაქმნის შედეგების განმტკიცება; მკვეთრი ბრძოლა ჩამორჩენილობის განწყობილობასთან და საბოტაჟთან როგორგანიზაციის საქმეში;

გ) სამეურნეო ანგარიშის ფართო შთანერგვა; ბრძოლა სამეურნეო ანგარიშის მნიშვნელობის შეუფასებლობასთან; სამეურნეო ანგარიშგებრივი ხელშეკრულებების შედგენაში მონაწილეობის მიღება;

დ) ახალი ტექნიკის ათვისება; ინჟინერი კაპელიშვილის „ტურბოტურბინა“, დისპეტჩერიზაციისა, კუზმინის საკრეთლებისა და სხვა მისთ. ფართო შთანერგვა;

ე) საბურღავ სამუშაოთა მკვეთრი გაძლიერება: ბრძოლა ავარიებისა, მუშაობის გაცდენისა და ზეავების ლიკვიდაციისათვის და ამერიკული ბურღვის სისწრაფეთა შთანერგვა;

ვ) შინაგანი რესურსების მობილიზაცია თვით სარეწაოს შიგნივე ყოველგვარი შესაძლებლობის გამოყენების საქმეში და გაწყობილობისადმი სიფრთხილით მოპყრობა;

ზ) არსებულ ქაბურღილთა ფონდის ექსპლოატაციის წესიერი რეჟიმის უზრუნველყოფა; საგემო-წინასწარაღმკვეთი რემონტის მოწყობა; მოცდენილი ქაბურღილების ამუშავების დაჩქარება; საკომპრესსორო მეურნეობის მუშაობის გაუმჯობესება და მოწყობისა.

2. ამასთან ერთად ბაქოს საბჭომ უნდა გააძლიეროს დეპუტატთა ჯგუფების მუშაობა ნავთის მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში:

ა) ანტისანიტარიისთან ბრძოლის გაძლიერებით; მუშათა მომარაგების გაუმჯობესებით და ინდივიდუალური ბოსტნების მოწყობით;

ბ) სარეწაოებში ახალ მუშათა კადრების დამკვიდრებით კოლმეურნეთაგან (საერთო საცხოვრებლების გაწყობა, კვების გაუმჯობესება, ფასების შემცირება, აღმოსავლური საქმელების მომზადება და სხვა მისთ.);

გ) ბინებით ოჯახიანი მუშების პირველ რიგში უზრუნველყოფით; სამედიცინო და კულტურული მომსახურეობის გაუმჯობესებით;

დ) მუშათა შორის მათ დედაენაზე მასსური კულტურული მუშაობის ჩატარებით;

ე) სამაგალითო ბაქოს შექმნისათვის ბრძოლაში ყველა მუშისა და ორგანიზაციის ჩაბმით (სოციალისტური კეთილმოწყობის სფეროში თვითვალდებათა რეალიზაცია, შეფობის მიღება მშენებლობის განსახლვრულ ობიექტებზე და სხვა მისთ.).

3. საორგანიზაციო ღონისძიებათა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების სფეროში დავალოს ბაქოს საბჭოს:

ა) გარდაქმნას „აზნეეთის“ სარეწაოებში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობა საწარმო-ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით; ლიკვიდირებულპყოს მთელი რიგი დეპუტატთა ჯგუფების ორგანიზაციული შეუსაბამობა სარეწაოების სამეურნეო სტრუქტურასთან; მოაწყოს დეპუტატთა ჯგუფები ექსპლოატაციისა და ბურღვის ყველა ჯგუფთან;

ბ) მოაწყოს მუშაობის უფრო პასუხსაგებ ნაკვეთზე (ბურღილი, ქაბურღილი, დანადგამი, აგრევატი და სხვა მისთ.) საკონტროლო პოსტები, გაანაწილოს-რა მუშაობა ისე, რომ სადებუტატო ჯგუფის თვითეული წევრი პასუხს აგებდეს ოპერაციის განსახლვრული ნაწილისათვის, მისი ხარისხისათვის და თავის დროზე აღსრულებისათვის;

გ) უზრინველჰყოს დებუტატთა ჯგუფების მუშაობაში მუშათა ფართო მას-სების ჩაბმა, უპირველეს ყოვლისა ნავთის წარმოების დამკვერელი მამაკაცებისა და ქალებისა, საინჟინერო-სატექნიკო მომუშავეებისა და საბჭოთა საზოგადოებ-რიობის ქვედა რგოლეულების აქტივისა;

დ) დაამყაროს წესიერი ურთიერთობა დებუტატთა ჯგუფებსა და სამეურ-ნეო და პროფესიონალურ ორგანოებს შორის—გამოცდილების გაცვლა-გამოცე-ლის უფრო კარგად მოწყობის მიზნით; გააძლიეროს უფრო მეტად კავშირი ცალკეული სარეწაო-საწარმოს ცალკეული ვახტებისა, ცვლებისა და ცენების საბჭოთა აქტივის შორის; ფართოდ გამოიყენოს სოციალისტური საგზურები;

ე) გააძლიეროს ნავთის სარეწაოების დებუტატთა ჯგუფების კავშირი წარ-მოებითს საწარმოთა სადებუტატო ჯგუფებთან, განსაკუთრებით იმ საწარმოთა, რომელნიც ასრულებენ სარეწაოთა შეკვეთებს; მოაწყოს გამტანისი საბჭოთა კონტროლი სარეწაოების შენაკვეთთა აღსრულების მსვლელობისა და ათვისე-ბისათვის;

ვ) გააძლიეროს და გააუმჯობესოს ბაქოს საბჭოს და სარაიონო საბჭოების საინსტრუქტორო აპარატი და აღამაღლოს ცოცხალი ინსტრუქტაჟის თვისება;

ზ) მოისმინოს პერიოდულად საბჭოების პრეზიდიუმში დებუტატთა ჯგუ-ფების მოხსენებანი;

თ) მოაწყოს მოწინავე სადებუტატო ჯგუფების გამოცდილების გადაცემა ჩამორჩენილთათვის.

4. წინადადება მიეცეს ბაქოს საბჭოს—გააძლიეროს კონკურს-შეჯიბრე-ბათა ვაშლის ტემპები, განსაკუთრებით საბინაო და კეთილმოწყობის საკითხე-ბისათვის, უზრთველჰყოს-რა მათში ნავთის სარეწაოების დებუტატთა ჯგუფე-ბის აქტიური მონაწილეობა.

5. მიენდოს აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და ბაქოს საბჭოს პრეზიდიუმს—შეიმუშაონ საკითხი ბაქოს საბ-ჭოების საორგანიზაციო-მასსური მუშაობის გარდაქმნისა „საორგანიზაციო-მასსური მუშაობის გარდაქმნის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. მაისის 27-ის დადგევილების შესაბა-მისად.

6. მიენდოს აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—დაამყაროს სისტემატური კონტროლი ამა დადგენილების აღსრუ-ლებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

98. ოთხფეხი საქონლის საგადასახადო აღრიცხვის უკეთესად ჩატარებისათვის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღგენს:

1. ჩატარებულ იქნეს 1934 წ. ივნისის 25-დან სექტემბრის 1-მდე ა/კსფსრ-ში ოთხფეხი საქონლის საგადასახადო აღრიცხვის მდგომარეობის დათვალიერება.

2. დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის უკეთესი მდგომარეობისათვის.

დროშა მიეკუთვნება რესპუბლიკებს შემდეგ ვადებზე:

ივნისის 25—აღრიცხვის სამომხადებლო მუშაობის უკეთესად მოწყობისათვის.

ივლისის 25—სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო აღრიცხვის თავის დროზე დამთავრებისათვის—უკეთესი მაჩვენებლებით იმ მხრივ, რომ როგორც სოფლად, ისე ქალაქად ოთხფეხი საძონელი მოცულ იქნება აღრიცხვით.

აგვისტოს 5—საკონტროლო დათვალიერების სამუშაოთა უკეთესად ჩატარებისათვის.

სექტემბრის 1—ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის შედეგებისა და შესწორებული რაიონობითი ცნობების საერთო შეფასება.

3. ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის საბოლოო შედეგების მიხედვით რესპუბლიკისათვის მიკუთვნებული დროშა გადაეცემა იმ რაიონს, რომელმაც უზრუნველპყო რესპუბლიკაში აღნიშნული აღრიცხვის უკეთესად ჩატარება.

4. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—მოახსენოს ზემოაღნიშნულ ვადებზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს საქონლის აღრიცხვის სამუშაოთა მსგელობა.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დააწესონ ამავე საფუძვლებზე გარდამავალი რესპუბლიკანური დროშა იმ რაიონებისათვის, რომელთაც თავი იჩინეს ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის ჩატარების საქმეში.

6. დადასტურებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან საპრემიო ფონდის მოწყობა 3.000 მ. რაოდენობით იმ სარაიონო ინსპექტორებისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოების რწმუნებულების

დასაპრემიებლად, რომელთაც თავი იჩინეს ოთხფეხი ააქონლის აღრიცხვის ჩატარებაში.

- 3 პრემია ხუთას-ხუთასი მან. რაოდენობით (ან ველოსიპედი).
- 3 " სამას-სამასი " "
- 3 " ორას-ორასი " "

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1934 წ. ივნისის 27.
ტიფლისი.

**დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოსი.**

99. 1934 წელს თივის მოსავლის აღების კამპანიის გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

„1934 წელს თივის მოსავლის აღების კამპანიის გეგმის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 2-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შესაცვლელად (განმწესრიგებელი სხდომის ოქმი № 2, § 1) თივის თიბვის საერთო ფართობი 1934 წელს ა/კსფსრ-ში ყველა სისტემის ხაზით განისაზღვროს 691.351 ჰექტარის რაოდენობით და შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე, სექტორებზე და თიბვის სახეებზე:

ბუნებრივი სათიბები:

| რესპუბლიკები | ს უ ლ | ა კ ე დ ა ნ | | | | |
|----------------------------|---------|---|---------------|-------------|----------------------------|--|
| | | მიწათმოქმედების სახალხო კო-ლ-ების საბჭოთა მეურნეობები | კოლმეპატრიოტი | მეურნეობები | ინდივიდუალური მეურნეობები. | საბჭოთა მეურნეობების სახალხო კ-ტის საბჭოთა მეურნეობ. |
| აზერბაიჯანის სსრ | 261.254 | 7.550 | 126.500 | 90.000 | 9.115 | 28.089 |
| სომხეთის სსრ | 213.465 | 1.892 | 69.131 | 103.642 | 23.000 | 15.800 |
| საქართველოს სსრ | 183.011 | 12.940 | 55.360 | 96.460 | 9.431 | 8.820 |
| ა/კსფსრ | 657.730 | 22.382 | 250.991 | 290.102 | 41.546 | 52.709 |

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

ნათესი ბალახი

| რესპუბლიკები | სულ | ა | ბ | გ | დ | ე |
|----------------------------|--------|--|--|---|---------------------------------|---|
| | | მიწათმოქმ. სა- ხალხო კ.-ტის სა- ბჭოთა მეურნე- ობები | კოლექტიური მეურნეობები და ინდივიდ. მეურ- ნეობები. | საბჭოთა მეურ- ნეობების სა- ხალხო კომ.-ტის საბ. მეურნეობ. | სხვა სამეურნეო ორგანიზაციები | |
| აზერბაიჯანის სსრ | 9.946 | 3.700 | 3.500 | 835 | 1.911 | |
| სომხეთის სსრ | 16.025 | 578 | 14.735 | 618 | 94 | |
| საქართველოს სსრ | 7.650 | 1.610 | 5.060 | 850 | 130 | |
| ა/კსფსრ | 33.621 | 5.888 | 23.295 | 2.303 | 2.135 | |

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.
ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. მაისის 23.
ტფილისი,

100. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ ნატურსასყიდლად მიღებული ჭარხლის ჩაბარების გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
1934 წელს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ ნატურსასყიდლად მიღებული ჭარხლის ჩაბარების გეგმა დამტკიცებულ იქნეს 15.397 ცენტნერის რაოდენობით; აქედან:

სომხეთის სსრ-ში:

| | |
|--|--------------|
| ლენინაკანის სამანქანო-სატრაქტორო სადგური | 1.880 ცენტნ. |
| სულ | 1.880 " |

საქართველოს სსრ-ში:

| | |
|---|---------------|
| აგარის სამანქანო-სატრაქტორო სადგური | 11.111 ცენტნ. |
| გორის " " " | 2.933 " |
| კასპის " " " | 3.473 " |
| სულ | 17.517 " |

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.
ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. მაისის 28.
ფილისი.

101. უძროხო კოლმეურნეთათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ 1933 წელს იმ ღონისძიებათა ჩატარების შედეგად, რაც მიმართულ იყო უძროხო კოლმეურნეთათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევისათვის, — მთლად ა/კსფსრ-ში 1934 წ. მაისის 0-მდე კოლმეურნეთ გადაეცა 16.304 ხბო და შესყიდულია და დაკონტრაქტებული ამავე მიზნით კიდევ 10.325 ხბო.

ამასთან ერთად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ სარაიონო ორგანიზაციებმა (სარაიონო აღმასრულებლებმა კომიტეტებმა, სასოფლო საბჭოებმა, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებმა) სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ამ დიდ სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას, რის გამოც მთელმა რიგმა რაიონებმა არ შეასრულეს გეგმა (ლენქორანისა, გილისა, ქურდამირისა, შამხორისა, შემახისა, ზუვანდისა, ყურდუქლისა, ყამარლუს, ქეშიშკენდისა, ჩოხატაურისა, ლანჩხუთისა, ფოთისა, ბორჩალოს და სხვა რაიონებმა).

ხბოების შესყიდვისა და კონტრაქტაციის 1933 წლის გეგმა 1934 წ. მაისის 20-თვის შესრულებულია საერთოდ 88,7 პროცენტით; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში — 98,4 პროც., სომხეთის სსრ-ში — 74,7 პროც. და საქართველოს სსრ-ში — 88,8 პროც., რის გამოც ამ საქმისათვის გადადებული კრედიტების ათვისება იყო სუსტი და არასრული (1934 წლის მაისის 1-თვის კრედიტები ათვისებულია: აზერბაიჯანის სსრ-ში — 85,5 პროც., სომხეთის სსრ-ში — 71,3 პროც. და საქართველოს სსრ-ში — 34,8 პროც.).

სრულიად არაადაამკმაყოფილებლად მიმდინარეობს კრედიტების კოლმეურნეებზე გადაფორმება: ხბოების შესაძენად კოლექტიური მეურნეობებისათვის მიცემული ავანსებიდან კოლმეურნეობებზე გადაფორმებულია: აზერბაიჯანის სსრ-ში 15,6 პროც., სომხეთის სსრ-ში — 36,8 პროც. და საქართველოს სსრ-ში — 20,2 პროც.

1935 წელს ა/კსფსრ-ში კოლმეურნეთა უძროხიანობის ლიკვიდაციის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — იმბარონ ოპერატიული ღონისძიებანი უძროხო კოლმეურნეთათვის ხბოების დარიგების 1933 წლის გეგმის 1934 წ. ივნისის 25-მდე შესასრულებლად (1933 წლის მონაშენიდან).

2. წინადადება მეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის ავიერკავკასიის კონტორას:

ა) გამოარკვიონ უმოკლეს ვადაზე, რა კრედიტები არ შეიძლება ათვისებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობებში და რაიონებში და გადაფორმებული კოლმეურნეებზე, და დაუყოვნებლივ დაიბრუნონ და დახურონ ასეთი კრედიტები, იმბარონ-რა ღონისძიებანი რაიონებისათვის გახსნილი კრედიტების ამ რაიონებისავე კოლექტიურ მეურნეობებს შორის გარდაწილებისათვის;

უკუდაბრუნებული კრედიტების ხარჯზე გახსნან, კოლექტიური მეურნეობების განაცხადების მიხედვით კრედიტები ხბოების შესასყიდად იმ რაიონებისა და კოლექტიური მეურნეობებისათვის, სადაც ეს ღონისძიება შეიქლება დამთავრებულ იქნეს უმოკლეს ვადაზე, ხოლო არა უგვიანეს 1934 წ. ივნისის 25-სა;

ბ) მოაწონ გახსნილი კრედიტების წესიერი გამოყენებისა და შესყიდული ხბოების კოლმეურნეთა ხელში ყოლის მასსური შერჩევითი შემოწმება; დაევალოს სასაოფლო-სამეურნეო ბანკის აზიერკავკასიის კონტორას — იხმაროს მკვეთრი ღონისძიებანი — გადაცემული ხბოების ხაზით არსებული მძელი დავალიანების კოლმეურნეებზე გადაფორმებისათვის არა უგვიანეს 1934 წ. ივნისის 25-სა.

3. წინადადება მიეცეს ა/სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — დაადგან გადასახდელი დელიჯნისა, ლენინაკანისა, ბორაჩალოს და ლენქორანის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თაამჯდომარეებს მიღებული კრედიტების არამიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს — დააჩქარონ კოლმეურნეთათვის უკვე დაკონტრაქტებული 10.325 სული ხბოს გადაცემა და დააწესონ ამას იქით კოლმეურნეთათვის ინდივიდუალურ სარგებლობად გადაცემული ოთხფეხი საქონლის პერიოდული დათვალერება და მეთვალყურეობა იმისათვის, რომ მათ ეს საქონელი შეინარჩუნონ და გამოზარდონ.

5. მოწყობილ იქნეს 1934 წლის განმავლობაში, 1933 წლის პირობების კვალობაზე, უძროხო კოლმეურნეთათვის დახმარების გაწევა შეღავათიან პირობებში ხბოების შესაძენად 1934 წლის მონაშენიდან 50.000 სულის რაოდენობით და შემდეგ განაწილებით რესპუბლიკებზე:

| რესპუბლიკები | ს უ ლ | ა ქ ე დ ა ნ | |
|----------------------------|--------|---|---|
| | | მგრძობის სასაქონლო ფერმებისა და განსაზოგადოებული ექტორის მონაშენიდან. | კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთაგან შესყიდვით და კონტრაქტაციით. |
| აზერბაიჯანის სსრ | 17.000 | 1.000 | 16.000 |
| სომხეთის სსრ | 10.900 | 900 | 10.000 |
| საქართველოს სსრ | 22.100 | 900 | 21.200 |
| ა/კსფსრ | 50.000 | 2.800 | 47.200 |

6. ა/კსფსრ-თვის სახელმწიფოს ხარჯზე გამოყოფილი უპროცენტო კრედიტი ორი მილიონი მანეთის რაოდენობით, კოლმეურნეობისათვის დახმარების გასაწევად ხბოების შეძენის საქმეში, განაწილებულ იქნეს რესპუბლიკებზე შემდეგნაირად:

| რესპუბლიკები | ს უ ლ | ა ქ ე დ ა ნ | |
|----------------------------|-----------|---|---|
| | | მერძეობის სასაქონლო ფერმებიდან და კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ნაზირიდან მონაშენის შესაძენად. | კოლმეურნეთაგან და ინდივიდუალურ მეურნეთაგან შესაძენად. |
| აზერბაიჯანის სსრ | 680.000 | 30.000 | 650.000 |
| სომხეთის სსრ | 436.000 | 27.000 | 409.000 |
| საქართველოს სსრ | 884.000 | 27.000 | 857.000 |
| ა/კსფსრ | 2.000.000 | 84.000 | 1.916.000 |

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) შეადგინონ და მიაწოდონ ადვილებს ერთი დეკადისვადაზე ხბოების დარიგებისა, შესყიდვისა და კონტრაქტაციის რაიონობითი გეგმები, ანგარიშში რაიონების თავისებურებათა მიღებით და იმ საკოლმეურნეო კომპლების რიცხვის გამოკვეცივით, როჰელთაც 1934 წ. ივლისის 1-თვის არ ეყოლებათ ძროხები პირად სარგებლობაში;

ბ) ხბოების დარიგებისა, შესყიდვისა და კონტრაქტაციის მთელი ოპერაცია დაამთავრონ არა უგვიანეს 1934 წ. სექტემბრის 1-სა; კოლმეურნეებს ხბოები ფაქტიურად უნდა გადაეცეს 6—8 თვის შესრულებისას ადგილობრივი პირობების მიხედვით;

გ) გადარებულ იქნეს 50 პროცენტამდე იმ კოლმეურნეთათვის შრომა-დღეების კვალობაზე მისაცემი მქისე საკვების ნორმა, რომელნიც ხბოებს ზრდიან.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოაწყონ დახმარების გაწევა სასოფლო-სამეურნეო კომუნების წევრებისათვის და აგრეთვე იმ კომუნების წევრებისათვის, რომელნიც გადავიდნენ არტელის წესდებაზე, ოთხფეხი საქონლის შეძენაში პირადი სარგებლობისათვის—მათთვის ძროხებისა, უშობლებისა და ხბოების და აგრეთვე წვრილფეხა საქონლის და ფრინველის გადაცემით განსაზოგადოებული ნაზირიდან, ხოლო ისე-კი, რომ გადასაცემი საქონლის რაოდენობა არ აღემატებოდეს კომუნის განსაზოგადოებული ნაზირის 1/3-ს.

ამასთან ერთად, გადაცემული საქონლის შესანახად, მიუჩინონ კომუნის წევრებს და კოლმეურნეებს (არტელის წესდებაზე გადასული კომუნების წევრებს) განსაზოგადოებული შენობების ნაწილი.

9. ძროხები, უშობლები და სხვაგვარი ოთხფეხი საქონელი უნდა გადაეცეს ინდივიდუალურ სარგებლობისათვის კომუნების წევრებს და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე გადასული კომუნების წევრებს სასყიდლით სახელმწიფოებრივ სადამაზადებლო ფასად, ამ სასყიდლის გადახდის ვადის სამწელიწადზე განაწილებით ყოველწლიურ თანაბარ ნაწილად.

10. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას—შეიმუშაონ და მიაწოდონ ორი დეკადის ვადაზე რესპუბლიკებს დაწვრილებითი ინსტრუქცია ამა დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების შესახებ.

11. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—იხმარონ კონკრეტული ღონისძიებანი იმ ხბოების შესყიდვისა, კონტრაქტაციისა და კოლექტიური მეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის გადაცემის მოწყობისათვის, რომელთაც ქალაქებისა და რკინისგზების სადგურების გარეშემო მდებარე მეურნეობანი ასაღებენ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ივნისის 3.
ტფილისი.

102. ბრუცელეზთან ბრძოლის საქმის მოწყობის შესახებ.

ბრუცელეზთან მიზანშეწონილი ბრძოლის მოწყობის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) შეიტანონ ბრუცელეზური დაავადებანი იმ დაავადებათა ჯგუფში, რომელთა რეგისტრაციაც სავალდებულოა, უზრუნველყონ რა როგორც უკვე დაავადებულთა მთელი შედგენილობისა (ადამიანთა და ცხოველთა), ისე ყველა ახლად დაავადების შემთხვევის რეგისტრაცია;

ბ) გამოაშკარაონ და გამოიკვლიონ ერთი თვის ვადაზე რაიონებში ბრუცელეზის ძირითადი ბუდეები და ამ დაავადების მხრით არაკეთილსაიმედო ცალკეული მეურნეობანი; შეამოწმონ მთლად ის საჯიშო მასალა, რაც უნდა წარიგზავნოს საჯიშო საქმის მიზნით სხვა რაიონებში, ავრეთვე იხმარონ ღონისძიებანი არადაავადებული რაიონებისა და მეურნეობების დასაცავად, რათა იქ ბრუცელეზი არ გადაიდეს;

გაკრძალონ ბრუცელეზით დაავადებულ ცხოველთა სხვაგან წარგზავნა; დ) უზრუნველყონ, რათა იმპორტირებულმა სამეურნეო ორგანიზაციებმა არ შემოიყვანონ ბრუცელეზით დაავადებული ცხოველნი;

ე) შეიმუშაონ, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის გეგმა 1934 წლისთვის;

ვ) შეიმუშაონ ერთი თვის ვადაზე, სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის საფუძველზე, ბრუცელეზთან ბრძოლის ინსტრუქცია სათანადო რესპუბლიკის პირობების მიხედვით;

ზ) მოაწყონ 1934 წელს კურსები სავეტერინარო და სამედიცინო ექიმების მოსამზადებლად ბრუცელეზთან ბრძოლისათვის, გამოიყენონ-რა საამისოდ დაინტერესებული ორგანიზაციების სახსარი;

თ) უზრუნველყონ პოპულარული ლიტერატურის გამოცემა ბრუცელეზთან ფართო მასების გასაცნობად.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, რათა მათ მიანდონ რესპუბლიკების სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტებს—ჩაურთონ თავიანთი მუშაობის გეგმაში ბრუცელეზის შესწავლა სასოფლო-სამეურნეო ცხოველზე და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა გამოკვლევა;

ბ) დაავალონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს—ჩაატარონ ანალოგიური მუშაობა ადამიანებზე რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების სამეცნიერო-საკვლევეო ინსტიტუტებში;

გ) დაავალონ ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში ჩამოთვლილ დაწესებულებათა დირექტორებს—გამოკვონ სპეციალური ჯგუფები ან ცალკეული სპეციალისტები (შტატების ფარგლებში) ბრუცელეზის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მუშაობისათვის;

დ) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—მოაწყონ რესპუბლიკებში არსებულ სარაიონთაშორისო სავეტერიანარო ლაბორატორიებთან, სავეტერიანარო სამეცნიერო-საკვლევეო ინსტიტუტების ხელმძღვანელობით, ბრუცელეზით დაავადებთა გამოკვლევა, დააკისრონ—რა მათ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის მეცხოველეობის სფეროში მომსახურეობის გაწევა.

3. ბრუცელეზთან ბრძოლის ღონისძიებათათვის მუდმივი ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაწევად მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან ბიუროები რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თავმჯდომარეობით და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტების წარმომადგენელთა შედგენილობით.

4. დაწესებულ იქნეს, რომ ბრუცელეზთან ბრძოლის ღონისძიებანი, რაც ანსახორციელებელია სახელმწიფო სექტორის მეურნეობებში, დაფინანსებული გუნდა იყოს ამ მეურნეობების ხარჯით, ხოლო საკოლმეურნეო-კოოპერატიული სისტემის მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკანური ბიუჯეტების ხარჯით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსახეკოვი.**


ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ლ. ტატულოვი.**

1934 წ. ივნისის 8.
ტფილისი.

103. 1934 წლის ივნის-ივლისში ოთხფეხი საქონლის აღრიცხვის ჩატარების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, იღებს—რა მხედველობაში, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოთხფეხი საქონლის რაოდენობის თავის დროზე და ზედმიწევნით აღრიცხვას მეცხოველეობის განვითარების საქმეში,—ადგენს:

1. დავეალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს—სოფლად 1934 წ. ს. ივნის-ივლისში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების



დროს—უზრუნველყონ ყოველგვარი და ყოველი წლოვანების ოთხეუბი საქონლის სრული აღრიცხვა კოლექტიურ მეურნეობებში, კოლმეურნეთა მეურნეობებში, ინდივიდუალურ მეურნეობებში და საქონლის ყველა სხვა მესაკუთრესთან, როგორც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილთან, ისე არადაბეგრილთან.

2. დაევალოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს—ჩაატარონ იმავე ვადაზე ოთხეუბი საქონლის აღრიცხვა მამჭოთა მეურნეობებში, კოოპერატიულ და დაწესებულებათა მეურნეობებში მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე და აგრეთვე კერძო მფლობელობის საქონლის აღრიცხვა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, რისთვისაც:

ა) დაევალოს პროდუქტიული და მუშა-საქონლის მყიდველ-ქალაქად და სოფლად—ყველა საჭმლოთა მეურნეობისა, კოოპერატიული მეურნეობისა, მუშათა მომარაგების განყოფილებისა, დაწესებულებისა, სამრეწველო, სავაჭრო და სატრანსპორტო საწარმოს, დამუზადებელი პუნქტისა და „გლავმისოს“ კომბინატისა, აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის დირექტორებსა და ხელმძღვანელებს, მათი პერსონალური პასუხისმგებლობით, წარუდგინონ 1934 წ. ივლისის 6-თვის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო თუ ფაქალაქო ინსპექტორს ზედმიწევნითი და თვით მათ მიერ შემოწმებული ცნობები ოთხეუბი საქონლის რაოდენობის შესახებ, რაც ზემოაღნიშნულ მეურნეობებს ეკუთვნის; ამის გარდა, დაევალოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—წარადგინონ იმავე ვადაზე ცნობები მუშებისა და მოსამსახურეების კუთვნილი საქონლის შესახებ, რაც საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზეა;

ცნობები წარდგენილ უნდა იქნეს სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით;

ბ) დაევალოს საქალაქო და სადაბო საბჭოებს—მოახდინონ, სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დადგენილი ვადებისა და ფორმების მიხედვით, მოსახლეობის ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი მუშა და პროდუქტიული საქონლის აღრიცხვა.

დაევალოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის საქალაქო ორგანოებს—უზრუნველყონ ინსტრუქტაჟი და მასალის მიღება, შემოწმება და შეჯამება.

3. საფინანსო ორგანოების მიერ ჩატარებული საქონლის აღრიცხვის სისავსის შესამოწმებლად—დაევალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—დაუყოვნებლივ, აღრიცხვის დამთავრებისთანავე, ჩაატაროს ყველა რაიონში მეურნეობებისა და საქონლის აღრიცხვის სისავსის საკონტროლო შემოწმება მეურნეობათა და კოლექტიურ მეურნეობათა 10-15 პროცენტისა—საქონლის ნატურად შემოწმებით.

4. დაევალოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს—უზრუნველყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორების უშუალო მონაწილეობა საფინ-

ნანსო ორგანოების საგადასახადო აღრიცხვის მოწყობისა და ჩატაობებისთვის საჭირო მუშაობაში, — განსაკუთრებით საქონლის და მეურნეობათა აღრიცხვისა, — და ამ აღრიცხვის შედეგების სასოფლო საბჭოებში შემოწმების დროს.

ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაავალონ სასოფლო საბჭოებს — საქონლის ჩატარებული აღრიცხვის შედეგები დაუყოვნებლივ წარგზავნონ ხოლმე სარაიონო საფინანსო განყოფილებაში, რათა მან ორი დღის ვადაზე წარგზავნოს ეს შედეგები სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოში.

5. დაწესებულ იქნეს, რომ აღრიცხვისთვის საქონლის დამალვაში დამნაშავენი პირნი უნდა მიიქცნენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — დაავალონ პროკურატურის ორგანოებს — ყველა ის საქმე, რაც მათთან შეეა აღრიცხვის ჩაშლას ან სახელმწიფო აღრიცხვისათვის საქონლის განზრახ დამალვაში დამნაშავე პირთა შესახებ, მიიღონ დაუყოვნებელი განხილვისთვის, მოაწიონ რა სასამართლო-საჩვენებელი პროცესები ადგილობრივ.

6. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ ადგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციებს — ფართოდ გაშალონ მასსური ახსნა-განმარტებითი მუშაობა საგადასახადო აღრიცხვის მნიშვნელობისა და ამოცანების გარშემო, განსაკუთრებით — საქონლის აღრიცხვის მნიშვნელობისა;

ბ) უზრუნველყონ საფინანსო ორგანოების მიერ ჩასატარებელი საგადასახადო აღრიცხვა და აგრეთვე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოების მიერ ჩასატარებელი საკონტროლო დათვალიერების სამუშაოები ნაცადი და ტექნიკურად მომზადებული მომუშავეებით, და აგრეთვე მისცენ მათ მიმოსვლისათვის საჭირო საშუალებანი.

7. აიკრძალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ქვედა ორგანოების იმ მომუშავეთა მობილიზაცია სხვა რამ სამეურნეო კამპანიისათვის, რომელნიც მოსაქმეობენ აღრიცხვაზე.

8. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს — წარმოუდგინოს ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს, არა უგვიანეს 1934 წ. სექტემბრის 10-სა, ოთხთხეხი საქონლის აღრიცხვის წინასწარი შედეგები.

9. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — უზრუნველყონ ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოების მიერ ჩასატარებელი საკონტროლო მუშაობა დაუბეგრავი ოთხთხეხი საქონლის აღრიცხვისათვის შემდეგი თანხებით:

| | | |
|-------------------------------------|---------|------|
| ფედერატიული ბიუჯეტით | 10.000 | მან. |
| აზერბაიჯანის სსრ ბიუჯეტით | 40.000 | " |
| სომხეთის სსრ | 20.000 | " |
| საქართველოს სსრ | 40.000 | " |
| <hr/> | | |
| სულ | 110.000 | მან. |

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო მომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ივნისის 11.
ტფილისი.

104. 1934 წლის საფინანსო გეგმის უკეთესად შესრულების ამიერკავკასიის კონკურსის შესახებ.

1934 წლის საფინანსო გეგმის რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლების წარმატებით შესრულების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქებისა და რაიონების ამიერკავკასიის კონკურსი 1934 წლის საფინანსო გეგმის უკეთესად შესრულებაზე და საფინანსო ორგანოების ყველა რგოლზე: საბჭოების საფინანსო სექციებისა და სახელმწიფო კრედიტის და საშემნახველო საქმის დამხმარე კომისიების მუშაობის მაღალხარისხიან მაჩვენებლებზე, რაც დამყარებულ უნდა იქნეს სოციალისტური შეჯიბრებისა და მასსური ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლის საფუძველზე.

2. დნებროპეტროვშინის მაგალითისამებრ ა/კსფსრ უნდა ჩაებას სრულიად საკავშირო კონკურსში 1934 წლის საფინანსო გეგმის უკეთესად შესრულებაზე და ამხ. მოლოტოვისთვის პატაკის წარდგენის უფლების შეძენაზე.

3. კონკურსისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და ამხ. მოლოტოვისათვის პატაკის წარდგენის უფლების მისანიჭებლად მოწყობილ იქნეს კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხ. მუსაბეკოვი (თავმჯდომარე), ამხ. ილიუშინი, (თავმჯდომარის მოადგილე), ამხ. ერემიანი, ამხ. წულუყიძე, ამხ. კარახანიანი, ამხ. ვ. გრიგორიანი და ამხ. კუზნეცოვი.

4. მიენდოს კომისიას—შეიმუშაოს 2 დღის ვადაზე და გამოაქვეყნოს ამიერკავკასიის კონკურსის პირობები.

5. ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანურმა და ადგილობრივმა გაზეთებმა სისტემატურად უნდა გააშუქონ კონკურსის მსვლელობა.

6. ეს გადაწყვეტილება ეცნობოს დნეპროპეტროვსკის საოლქო აღმასრულებელ კოიიტეტს და სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. გრინკოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
სიბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

934 წ. ივნისის 11.
ტფილისი.

105. ა/კსფსრ ურელხო გზების კლასიფიკაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ქსელის საერთო განფენილობა დამტკიცებულად ჩაითვალოს შემდეგი ოდენობით:

| რესპუბლიკები | განფენილობა კილომეტრო- ბით | II კლასი | III კლასი |
|-------------------------------|----------------------------------|----------|-----------|
| ა/კსფსრ-ში | 6.250 | 2.578 | 3 672 |
| აქედან: | | | |
| აზერბაიჯანის სსრ-ში | 2.771 | 1.047 | 1.724 |
| სომხეთის სსრ-ში | 1.122 | 482 | 650 |
| საქართველოს სსრ-ში | 2.357 | 1.049 | 1.303 |

შენიშვნა. ახალი სიის მიხედვით რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე გზების დაფინანსება ჩართულ იქნეს 1935 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში; მიმდინარე წელს დაფინანსება წარმოებულ იქნეს იმ წყაროებიდან, რაც განსახლდრულა 1934 წლის გეგმებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 ივნისის 19.
ტფილისი.

106. „ცენტროპლოდოგოვშის“ ამიერკავკასიის კონტორის ლიკვიდაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს;

„ცენტროპლოდოგოვშის“ ამიერკავკასიის კონტორა ლიკვიდირებულ იქნეს და მთლად ოპერატიულ-სადამზადებლო მუშაობა, რასაც „ცენტროპლოდოგოვშის“ კონტორა ანხორციელებს, დაეკისროს „ა/კ. კავშირს“—მისთვის „ცენტროპლოდოგოვშის“ ამიერკავკასიის კონტორის ყველა სასაქონლო-სამატერიალო ფასეულობისა და ფულიდი სახსარის გადაცემით. „ა/კ. კავშირს“ ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა „ცენტროპლოდოგოვშის“ კონტორის მიერ ხილულის დამზადებისა და გაზიდვის სფეროში დადებულ შეღწეკრულებათა და სხვა ვალდებულებათა აღსრულებისათვის, რა ხელშეკრულებანიც და ვალდებულებანიც მოქმედობენ „ცენტროპლოდოგოვშის“ ამიერკავკასიის კონტორის ლიკვიდაციის მომენტში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი დ. ტატულოვი

1934 წ. ივნისის 19.
ტფილისი.

107. ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ლიკვიდაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნეს ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო; ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან მოეწყოს რესპუბლიკანურ ვაჭრობათა ხელმძღვანელი სექტორი ათ-კაციანი შტატი.

3. 1934 წლის ბოლომდე სექტორის შესანახად საჭირო ხარჯი გაღებულ იქნეს რესპუბლიკანურ ვაჭრობათა ბრუნვის ანარიცხებიდან, ხოლო 1935 წლიდან—ბიუჯეტით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოად. ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი დ. ტატულოვი.

1934 წ. ივნისის 19.
ტფილისი

108. სვიის გაშენების საქმის განვითარების შესახებ.

ამიერკავკასიაში სკიით ლუდის ხდის მრეწველობის საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით, ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭო, — შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1934 წ. მარტის 25-ის თარიღისა და 347 №-ის დადგენილების შესაბამისად, — აღგნს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — შეუდგენენ 1935 წლიდან კულტურული მესვიობის განვითარების საქმეს — ისეთი ვარაუდით, რომ უკვე 1937 წელს ა/კსტსრ ლუდის ხდის მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნეს საკუთარი სკიით.

2. ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) განსაზღვრონ, რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, მესვიობის განვითარების გეგმა წლებზე;

ბ) განსაზღვრონ ამ კულტურის განვითარების რაიონები და თავის დროზე მიუჩინონ სათანადო ნაკვეთები საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალური მეურნეობებში;

გ) უზრუნველჰყონ სასვიობის ჩაყრა სარგავი მასალით;

დ) გაითვალისწინონ საწარმოო კრედიტები სასვიობის ჩასაყრელად.

3. ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების განაცხადების თანახმად, უნდა აღძრას თავის დროზე სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე საკიბნი — სარგავი მასალით და მინერალური სასუქით ამიერკავკასიის უზრუნველყოფის შესახებ.

4. სვიის მომყვანთ აგრო-საწარმოო მომსახურეობა უნდა გაუწიონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა სვიის დამზადებელთა ხარჯით.

5. დაევალოს ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს. ა/კსტსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, შეიმუშაოს ერთი თვის ვალზე მესვიობისათვის კაღრების მომზადების გეგმა.

ა/კსტსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა ჩაუერთოს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტების სამუშაოების გეგმაში მესვიობის დარგის სამუშაოები.

6. ვინაიდან ამიერკავკასიაში ლუდის ხდის მრეწველობის სასვიო საჭიროება 1934 წელს უზრუნველყოფილი არ არის მთლად, ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსტსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა დაავალონ ლუდის ხდის მრეწველობის ხელ-

მძღვანელთ—დაუყოვნებლივ შეუდგნენ ველური სვიის დამზადების საქმის მოწყობას და ჩააბან ამ საქმეში, თუ საჭირო იქნება, სახელშეკრულობო საფუძვლებზე სხვა ორგანიზაციების დამზადებელი აპარატები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ივლისის 4.
 ტფილისი.

109. სანაშენო ცხოველთა გამოზრდის გეგმის შესახებ

აღნიშნავს რა, რომ სანაშენო ცხოველთა გამოზრდის საკითხი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა „მეცოველეობის გაუმჯობესებისა და განვითარების შესახებ“ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების რეალიზაციის საქმეში, — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს 1934 წელს საჯიშოდ საუკეთესო მოზერების და საულაყე კვიცების გამოზრდა შემდეგი რაოდენობით:

| | აზ. სსრ | სომხ. სსრ | საქ. სსრ | ა/კსფსრ |
|--|---------|-----------|----------|---------|
| სულ მოზერები | 5.200 | 3.100 | 6.250 | 14.550 |
| აქედან: საბჭოთა მეურნეობებში კოლექ. მეურნეობებისათვის გადასაცემად . | 100 | 250 | 150 | 500 |
| აქედანვე: საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმებსა და კოლმეურნეობათა განსახოგადებულ ნააირში | 500 | 350 | 300 | 1.150 |
| აქედანვე: კოლმეურნეებთან და ინდივიდ. მეურნეობებთან | 4.600 | 2.500 | 5.800 | 12.900 |
| სულ საულაყე კვიცები | 200 | 100 | 150 | 450 |
| აქედან: საკოლმეურნეო სასაქ. ფერმებსა და კოლმეურნეთა განსახოგადებულ ჯოგში | 150 | 75 | 50 | 275 |
| კოლმეურნეებთან და ინდივიდუალ. მეურ. | 50 | 25 | 100 | 175 |

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—მიაწვდინონ 1934 წ. ივლისის 20-მდე რაიონებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე,

კოლექტიურ მეურნეობებამდე და სასოფლო საბჭოებამდე საჯიშოდ მოზერებისა და საულაყე კვიცების გამოზრდის გეგმა—ისეთი ვარაუდით, რომ კოლექტიურ მეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებში მთელი მოზარდობა გამოყოფილ იქნეს არა უგვიანეს 1934 წ. ოქტომბრის 1-სა.

3. დაწესებულ იქნეს, რომ საჯიშოდ გამოზრდისათვის უნდა გადაირჩეს საულაყე კვიცები—საგეგმო ჯიშის ულაყებისაგან წარმოქმნილი და მოზერები—უცხოეთის ჯიშის წმინდა სისხლისა და მეტისებისაგან ან ადვილობრივი საგეგმო ჯიშის სანაშენოსაგან წარმოქმნილი.

4. სანაშენო ცხოველთა გამოზრდის წახალისებისა და სტიმულირების მიზნით წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დააწესონ ყველა იმ კოლექტიურ მეურნეობაში, სადაც გამოსაზრდელად გამოყოფილია საჯიშო მოზერები და საულაყე კვიცები, საჭირო მქისე და კონცენტრირებული საკვების ფონდი (შვრია, ქერი, სიმინდი) - ამ საკვების მარტოოდენ გადაარჩეული მოზარდობისათვის მიცემით, და დაავალონ კოლექტიური მეურნეობების ვამგეობებს—კოლმეურნეებისათვის ოთხფეხი საქონლის საკვების მიცემის დროს—უზრუნველჰყონ პირველ რიგში ის საკოლმეურნეო მეურნეობანი, რომელნიც ზრდიან მოზერებსა და საულაყე კვიცებს კოლექტიური მეურნეობების დავალებით;

ბ) დააწესონ იმ კოლმეურნეებისათვის, რომელნიც ზრდიან საჯიშო მოზარდობას საზაგალითო მოვლისა და კვების პირობებში, შრომა-დღეებზე მისაცემი, ოთხფეხი საქონლის მქისე საკვების ნორმის გადიდება 50 პროცენტამდე, 15-დან 20-მდე შრომა-დღის დარიცხვით იმ კოლმეურნეებისათვის, რომელნიც ზრდიან მოზერებსა და საულაყე კვიცებს კოლექტიური მეურნეობისათვის გადასაცემად;

გ) გაავრცელონ იმ კოლმეურნეებზე და ინდივიდუალურ მეურნეებზე, რომელნიც ზრდიან საჯიშო მოზარდობას 1934 წლის მონაშენიდან, სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის ჩაბარების შეღავათები, რაც განსაზღვრულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. ივლისის 14-ის დადგენილებით „უძროხო კოლმეურნეებისათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ“;

დ) მსოფინონ ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომელნიც ზრდიან ხელშეკრულების მიხედვით საჯიშო მოზარდობას საზოგადოებრივი ნახირისათვის, დამატებითი სათიბი ნაკვეთები ნახევარი ჰექტარის ოდენობით მეურნეობაზე; თანაც სასოფლო საბჭოებში უნდა გაუწიონ აღნიშნულ მეურნეობებს დახმარება თივის მოსავლის აღებისა და მიზიდვის საქმეში; საულაყე კვიცების მზრდელ მეურნეობებს უნდა მიეჩინოს დამატებითი ნაკვეთი 1/4 ჰექტ. ოდენობით და თესლი—საფურაყე მარცვლეულის თესვის გეგმის ზედმეტი ფართობის დასათესად 1934 წლის შემოდგომაზე ან 1935 წ. გაზაფხულზე;

ე) მოზარდობის საჯიშოდ გამოზრდისათვის შერჩევას მოახლენს განსაკუთრებული კომისია ზოოტექნიკოსისა და ვეტერინარ-ექიმის აუცილებელი მონაწი-

ლებით და განსაკუთრებული გასინჯვის აქტისა და გამოზრდის პირობების ხელშეკრულების შედგენით;

ვ) დააწესონ პასუხისმგებლობა საჯიშოდ გადარჩეული მოზარდობის უკლებლობისა და შენარჩუნებისათვის არა მარტო იმ მეურნეობებისათვის, რომელნიც ზრდიან გადარჩეულ ცხოველთ, არამედ აგრეთვე სასოფლო საბჭოებისა და კოლექტიური მეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებისათვის;

ზ) დაავალონ სარაიონო სადგელმამულო განყოფილებების გამგეებს—აწარმოონ, სასოფლო საბჭოებთან და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებთან ერთად, საჯიშოდ გამოზრდისთვის გადარჩეული მოზარდობის სისტემატური ზოგვეტ-დათვალიერება;

თ) შეუნარჩუნონ მშრომელი ინდივიდუალური მეურნეების მეურნეობებს დამატებითი სათიბებისა და სახნავი მიწების ფართობი მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც საზოგადოებრივ ნახირში გამოყენებულ იქნება მათ მიერ გამოარდილი სანაშენო ცხოველი, დააწესონ-რა, ამის გარდა, მათ სასარგებლოდ განსაზღვრული სასყიდელი დაგრილებებისათვის;

ი) გამოპყონ განსაკუთრებული ფულადი პრემიები იმ საუკეთესო კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა, ინდივიდუალური მეურნეების და სასოფლო საბჭოების დასაპრემიებლად, რომელნიც ზრდიან მოზვრებსა და საულაყე კვიცებს საჯიშოდ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი,

1934 წ. ივლისის 4.
ტფილისი.

110. 1934 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ.

„1934 წლისთვის წყლის გამოსაღების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივნისის 17-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 33 №-ი. მუხ. 252) და ა/კსფსრ სახალხო ეომისართა საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილების გასაუქმებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. წყლის ქსელისა და წყალსამეურნეო დაწესებულებათა ქვედა აპარატების შესანახად (მუხ. 2) საჭირო ხარჯების დასაფარავად შემოღებულია წყლის განსაკუთრებული გამოსაღები.

2. წყლის გამოსაღებით წარმოებულ უნდა იქნეს წყლის ქსელის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული შემდეგი ხარჯები:

ა) წყალსამეურნეო გამართულობათა და ნაგებობათა მიმდინარე რემონტისათვის და აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებული პროექტირებისათვის;

ბ) წყალთა არსებულ სისტემებში საექსპლოატაციო სამსახურის ორგანიზების სასამსახურო, სასაწყობო და სხვა სადგომების შენახვისა და რემონტისათვის;

გ) სატელეფონო სისტემის რემონტისა და შენახვისათვის;

დ) საექსპლოატაციო ჰიდრომეტრიისა და მიმდინარე სტატისტიკისათვის

ე) საერთო სარგებლობის არხების გასწვრივ ხეების ნარგავთა მოგვარებისათვის;

ვ) რწყვის პერიოდში წყლის განაწილების მოსაწესრიგებლად საჭირო მუშაობისათვის;

ზ) წყლის სისტემების (სარაიონო სისტემების ჩართვით) ექსპლოატაციის გააუმჯობესებელ ქვედა დაწესებულებათა საექსპლოატაციო შტატის შენახვისათვის.

შენიშვნა. ახალი მსხვილი და წვრილი მშენებლობის ხარჯები მთელ საირიგაციო სისტემის ხაზით წყლის გამოსაღებით არ იფარება.

3. წყლის გამოსაღების საგანაკვეთო წელიწადი განისაზღვრება 1934 წლის იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე თანაბრად.

4. წყლის გამოსაღები გადაჰხდება სოფლად და ქალაქად ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას, კოლექტიურ მეურნეობას და კერძო პირს, რომელიც იყენებს წყალს წყალსამეურნეო სისტემიდან სასოფლო-სამეურნეო მიწების მოსარწყავად და მამოძრავებელ ძალად საწარმოში, — ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ, ამა დადგენილების მე-10, 12 და 15 მუხლების წესისამებრ, დადგენილი განაკვეთებით.

ამასთანავე, გამოსაღების საშუალო ჰექტარობითი განაკვეთები კოლექტიური მეურნეობებისა და კოლმეურნეთა არაგანსაზოგადოებელი მეურნეობებისათვის თვითეულ რაიონში შენარჩუნებულ უნდა იქნეს 1933 წლის დონეზე.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ შემოიღონ როგორც სოფლად, ისე ქალაქად წყლის გამოსაღები სარწყავი არხიდან წყლის სარგებლობისათვის სხვა შემთხვევაშიც (კერძოდ — რკინის გზებისათვის და სხვ.); ასეთ შემთხვევაში ისინი ამყარებენ წყლის გამოსაღების განაკვეთებსა და გამოანგარიშების და გადახდევინების წესს.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ გაანთავისუფლონ წყლის გამოსაღებისაგან მთლად ან ნაწილობრივ მეურნეობათა და საწარმოთა ცალკეული კატეგორიები, და აგრეთვე ცალკეული ადგილების მოსახლეობა.

6. წყლის გამოსაღების გადახდელნი, ამ გამოსაღების გადახდის მიუხედავად, შეიძლება გაწვეულ იქნენ ნატურალურ წყალსამეურნეო ბეგარაზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის თანახმად.



საბჭოთა მეურნეობების დაბეგვრა.

7. საბჭოთა მეურნეობებს წყლის გამოსაღები გამოენგარიშებათ და გადაჭდებათ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ განსაზღვრული წესით და რაოდენობით.

კოლექტიური მეურნეობების დაბეგვრა.

8. კოლექტიურ მეურნეობებს (სასოფლო-სამეურნეო კომუნა, არტელი და ვაერთიანებული ძალით მიწის დამმუშავებელი ანხანაგობა) წყლის გამოსაღები გამოენგარიშებათ სარწყავი მიწების ფართობზე, რაც უჭირავს როგორც მინდვრის კულტურებს, ისე — ბაღებს, ვენახებს, ბოსტნებს და სხვა მისთ., და წყალმომქმედ საწარმოთა შემოსავლის კვალობაზე.

სარწყავი მიწების ფართობი მიიღება იმავე ოდენობით, რაც დადგენილია 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის, — სახელდობრ:

ა) საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების სათესი ფართობი, რაც განსაზღვრულია გეგმით 1933 წლის შემოდგომისა და 1934 წ. გაზაფხულისათვის;

ბ) სათიბებისა და მრავალწლოვან ნარგავთა ფართობი (ბალი, ვენახი და სხვ.) ფაქტიური აღრიცხვის ცნობების მიხედვით.

აგრეთვე, წყალმომქმედ საწარმოთა შემოსავალი მიიღება ისეთი რაოდენობით, რაც გამოანგარიშებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის.

9. კოლექტიურ მეურნეობებს წყლის გამოსაღები გამოენგარიშებათ:

ა) სარწყავი მიწების ფართობზე — განაკვეთად მანეობით 1 ჰექტარ ნათესა და ნარგავზე;

ბ) წყალმომქმედ საწარმოზე — მტკიცე განკვეთად კაპიკობით დასაბეგრავი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

10. იმ განაკვეთების რაოდენობას, რომლის მიხედვითაც გამოიანგარიშება წყლის გამოსაღები კოლექტიური მეურნეობებისათვის, განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები; ამასთანავე, განისაზღვრება სხვადასხვა ჰექტარობითი განაკვეთები ცალკეული კულტურებისათვის; წყლის გამოსაღების განაკვეთი სასოფლო-სამეურნეო კომუნებისა და არტელებისათვის უნდა იყოს საშუალოდ 25 პროცენტით ნაკლები ვაერთიანებული ძალით მიწის დამმუშავებელ ანხანაგობათათვის დადგენილ განაკვეთზე.

11. წყლის გამოსაღებით კოლექტიური მეურნეობების დაბეგვრის დროს მათ ეძლევათ შემდეგი შეღავათები:

ა) ის კოლექტიური მეურნეობა, რომელიც განთავისუფლებულია შეღავათების წესით მთლად ან ნაწილობრივ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, განთავისუფლდება ამის შესაბამისად წყლის გამოსაღებისაგანაც;

ბ) წყლის გამოსაღების ჰექტარობითი განაკვეთების განსაზღვრის დროს შეიფარდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის დადგენილი ყველა შეღავათი ბამბაზე და სხვა ტექნიკურ კულტურაზე.

კოლმეურნეთა მეურნეობების არაგანსაზოგადოებულის ნიშნის დაბეგვრა.

12. კოლექტიური მეურნეობის ის წევრნი, რომელთაც აქვთ სარწყავი მიწების და წყალმომქმედი საწარმოს არაგანსაზოგადოებულის შემოსავალი, იბეგრებიან წყლის გამოსაღებით სათანადო კოლექტიური მეურნეობისათვის დაღვენილი განაკვეთების კვალობაზე.

13. კოლექტიური მეურნეობის ის წევრნი, რომელნიც 1934 წელს განთავისუფლებულ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მთლად ან ნაწილობრივ, განთავისუფლებიან ამის შესაბამისად წყლის გამოსაღებისაგანაც.

ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების დაბეგვრა.

14. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობანი იხდიან წყლის გამოსაღებს 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის გამოანგარიშებული სარწყავი მიწებისა და წყალსამეურნეო საწარმოთა შემოსავლის კვალობაზე.

15. წყლის გამოსაღების განაკვეთებს ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების დასაბეგრად აწესებენ ა/კვსრ შედგენილობაში სემივალის რესპუბლიკების სხვა სხვა კომისართა საბუკოები კაპოკობით ამ გამოსაღებით დასაბეგრავი შემოსავლის თვითეულ მანეთზე; ამასთანავე, მათ შეუძლიანთ დააწესონ სხვადასხვა განაკვეთები ცალკეული ადგილების ან ცალკეული წყლის სისტემებისათვის.

16. წყლის გამოსაღების ძირითადი განაკვეთი იღვინება იმ ინდივიდუალური შრომითი მეურნეობებისათვის, რომელთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა არ აღემატება 100 მანეთს.

იმ მეურნეობებისათვის, რომელთა შემოსავალიც 100 მანეთს აღემატება, წყლის გამოსაღების ძირითადი განაკვეთი გადიდდება შემდეგნაირად:

| | | |
|--|-------------------------|---|
| როდესაც სასოფლო სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა არის მეურნეობაში | | წყლის გამოსაღების ძირითადი განაკვეთი მეურნეობის დასაბეგრად შემოსავალზე გადიდდება: |
| 100 მანეთზე მეტი | 200 მანეთამდე | 1,5 ჯერ |
| 200 " " | 300 " | 2,5 " |
| 300 " " | 400 " | 3,5 " |
| 400 " " | 500 " | 4,5 " |
| 500 " " | 600 " | 5,5 " |
| 600 " " | 700 " | 7,0 " |
| 700 " " | 800 " | 8,5 " |
| 800 " " | 1.000 " | 10,5 " |
| 1.000 " " | | 12,0 " |



17. 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებული ინდივიდუალური შრომითი მეურნეობანი განთავისუფლებიან ამის შესაბამისად წყლის გამოსაღებისაგანაც.

18. 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ერთი-ორად დაბეგრული (1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 67 და 103 მუხლების თანახმად) მეურნეობანი წყლის გამოსაღები და დაბეგრებიან აგრეთვე ერთი-ორად, და მათ არავითარი შეღავათი არ ეძლევათ ამ გამოსაღებზე.

კულაკური მეურნეობების დაბეგვრა.

19. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობანი—როგორც ქალაქად, ისე სოფლად წყლის გამოსაღებს იხდიან სარწყავი მიწებისა და წყალმომქმედ საწარმოთა იმ შემოსავლის მიხედვით, რაც 1934 წელს გამოანგარიშებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის, — შემდეგი რაოდენობით:

| როდესაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი შემოსავალი არის: | იმ განაკვეთით, რაც აღმნიშვნა წყლის გამოსაღების ძირითად განაკვეთს (მუხ. 16). |
|--|---|
| არა უმეტეს 500 მანეთისა | 6-ჯერ |
| 500 მანეთზე მეტი 600 ჩანეთამდე | 8 „ |
| 600 „ „ 700 „ | 10 „ |
| 700 „ „ 800 „ | 12 „ |
| 800 „ „ 900 „ | 15 „ |
| 900 „ „ 1.000 „ | 18 „ |
| 1000 „ „ | 20 „ |

20. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილ მეურნეობათ არავითარი შეღავათი არ ეძლევათ წყლის გამოსაღებზე.

21. განკულაკებული მეურნეობანი წყლის გამოსაღებს იხდიან ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების თანაბრად, ხოლო მათ არავითარი შეღავათი არ ეძლევათ ამ გამოსაღებზე.

წყლის გამოსაღების გამოანგარიშების წესი და გადახდის ვადები.

22. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთ წყლის გამოსაღები გამოანგარიშებათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის დადგენილი წესით; ამ გამოსაღებს ისინი გადაიხდიან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის დადგენილ ვადებზე.



23. იმ ვადამდეც, რომელიც წყლის გამოსაღებს ვადაზე არ შეიტანენ, შეეფარდებით სასოფლო სამეურნეო გადასახადის მენარჩენეთათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი.

წყლის გამოსაღების ვადამდე ვინებელი ორგანოები; ვანცხადებებისა და საჩივრების შეტანის და განხილვის წესი.

24. წყლის გამოსაღების გამოანგარიშება და გადახდევინება ეკისრება იმავე ორგანოებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშება და გადახდევინება.

25. წყლის გამოსაღების ვადამდეც ვანცხადებები და საჩივრები შეიტანება და განხილდება იმავე წესით, რაც დადგენილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის.

შემოსული წყლის გამოსაღების განაწილება.

26. წყლის გამოსაღები შედის ადგილობრივ ბიუჯეტებში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დადგენილი წესით და იხარჯება მარტოოდენ ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საჭიროებაზე.

27. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოაქვეყნონ არა უგვიანეს 1934 წ. ივლისის 13-სა დადგენილებანი 1934 წ. წყლის გამოსაღების შესახებ ამა დადგენილების შესაბამისად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოად. ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ივლისის 4.

ტფილისი.

111. 1935 წელს საქონლის საკვები ბალახის თესვის გეგმისა და ამ ბალახის თესვის ჩაბარების სტიმულირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ-ში მეცხოველეობისათვის საკვები ბაზისის გაფართოებისა და საკვები ბალახთა მეთესლეობის განვითარების მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ-ში საკვები ბალახთა თესვის გეგმა ყველა სისტემის ხაზით 86.060 ჰექტარის რაოდენობით; აქედან:

| | აზ. სსრ | ს.ზ. სსრ | საქ. სსრ | ა/კსფსრ |
|---------------------------------------|---------|----------|----------|---------|
| ერთწლოვანი ბალახები | | | | |
| ს უ ლ | 28.380 | 6,700 | 23,000 | 58.080 |
| აქედან მარცვლად | 11.00 | — | — | 11.000 |
| აქედან საბჭოთა მეურნეობებში | 3.380 | 700 | 3,000 | 7.080 |
| აქედან საკოლმეურნეო საგლეხო სექტორში | 25.000 | 6.000 | 20,000 | 51.000 |
| მრავალწლოვანი ბალახები | | | | |
| ს უ ლ | 10.440 | 8,040 *) | 9,500 | 27.980 |
| აქედან საბჭოთა მეურნეობაში | 2.440 | 1.040 | 3.000 | 6.480 |
| აქედან საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში. | 8.0000 | 7.000 | 6,500 | 21.500 |

2. 1935 წლისთვის საკები ბალახების თესვის გეგმის უზრუნველსაყოფად დაბრონირებულ იქნეს სათესლეებისათვის 1934 წელს ნათიბი საკები ბალახების ფართობი 21.029 ჰექტარის რაოდენობით (აქედან ერთწლოვანი ბალახი — 13.786 ჰექტარი და მრავალწლოვანისა — 7.243 ჰექტარი), ფართობების შემდეგი განაწილებით კულტურებზე, რესპუბლიკებზე და სექტორებზე (იხ. დანართი № 1-ლი 262 გვერდზე).

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) უზრუნველჰყონ აგროტექნიკური ხელმძღვანელობა სათესლეებისათვის ნაკვეთების შერჩევისა და მათი შემდგომი მოვლის საქმეში;

ბ) გაანაწილონ სათესლეებისათვის დატოვებული ნაკვეთები სექტორებსა და რაიონებზე;

გ) მიაწვდინონ თესლისათვის დანიშნული ბალახის მოსავლის აღების გეგმები საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე და ინდივიდუალურ მეურნეობებამდე;

დ) დააკისრონ პასუხისმგებლობა სათესლეების სათანადო ფართობების თავის დროზე გამოყოფისთვის აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს;

ე) დააკისრონ პასუხისმგებლობა თესლად გამოყოფილი ფართობების საქონლის მიშვებით წახდენისა და თივად მითივისაგან დაცვისათვის — პერსონალურად სარაიონო საადგილმამულო განყოფილებების გამგეებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და სასოფლო-სამეურნეოს საბჭოებისა და კოლექტიური მეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს;

ვ) გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია მიმდინარე წელს მეთესლეობის სფეროში ჩასატარებელ დონისძიებათა მნიშვნელობის თაობაზე, გაა-

*) აქედან 7.150 ჰექტ. მარცვლულ კულტურებში ჩასათესად.

მახვილონ-რა საბჭოთა მეურნეობების მომუშავეებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ინდივიდუალური მეურნეების ყურადღება სათესლეების მოვლისა და სარეველა და პარაზიტული მცენარეულობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, თანაც პოპულარულჰყონ ის შეღავათები, რაც, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. თებერვლის 23-ის თარიღისა და 193 №-ის დადგენილების თანახმად, ვრცელდება სათესლეებისათვის განკუთვნილ ფართობებზე;

ზ) უზრუნველჰყონ თავის დროზე საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და მანქანების (სათიბი მანქანებისა, სანიავებელი მანქანებისა, დამხარისხებლებისა, სამყურას საცეხვი მანქანებისა, კუსკუტის გადამრკვევი მანქანების) შემოზიდვა.

4. განისაზღვროს საკვები ბალახის თესლის გამოსავალი ა/კფსრ-ში (სათესლე სესხის გამოკლებით): ერთწლოვანი ბალახებისა—57.389 ცენტნერის და მრავალწლოვანი ბალახებისა—11.257,5 ცენტნ. რაოდენობით, შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებსა და სექტორებზე (იხ. დანართი № 2, 263 გვერდზე).

დაევალოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს თესლის გამოსავალის დავალებანი მიაწვდინონ თავის დროზე ცალკეულ რაიონებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე და სასოფლო საბჭოებამდე.

5. დამტკიცებულ იქნეს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების საბჭოთა მეურნეობების მიერ „სახხარისხფონდში“ საკვები ბალახის თესლის ჩაბარების შემდეგი გეგმა (ცენტნერობით):

| | აზ. სსრ | სომხ. სსრ | საქ. სსრ | ა/კფსრ |
|---|--------------|------------|------------|--------------|
| ერთწლოვანი ბალახები: | | | | |
| საგაზაფხულო ცვრცველა | — | 240 | 190 | 430 |
| საშემოდგომო „ | — | — | 350 | 350 |
| შამბალა | 1.050 | — | — | 1.050 |
| სულ ერთწლ. ბალახები | 1.050 | 240 | 540 | 1.830 |
| მრავალწლოვანი ბალახები: | | | | |
| იონჯა | 1.300 | 900 | 30 | 1.630 |
| ესპარცეტი | — | 600 | 800 | 1.400 |
| სულ მრავალწლ. ბალახები | 1.300 | 900 | 830 | 3.030 |

6. დაევალოს ყველა სამეცხოველეთა და სამარცვლეულო საბჭოთა მეურნეობას—გამოჰყოს სპეციალური საბალახო ნაკვეთები თესლის შესაგროვებლად ისეთი რაოდენობით, რაც საკუთარ მოთხოვნილებას და აგრეთვე უახლოესი სოფლების და კოლექტიური მეურნეობების მოთხოვნილებას უზრუნველჰყოს.

7. შენაჩუნებულ იქნეს არსებული საკონტრაქტაცია (სახელშეკრულებო) სისტემა საკეები ბალახის თესლის დაზღვევისა „სახხარისფონდისათვის“ მეთესლეობის კოლექტიურ ბეურნეობებსა და ინდივიდუალურ ბეურნეობებში (მუდმივი რეპროდუცენტები) და დამტკიცებულ იქნეს მეთესლეობის კოლექტიურ ბეურნეობებში და „სახხარისფონდის“ მუდმივ რეპროდუცენტებში კონტრაქტაციის გეგმა შემდეგი რაოდენობით:

ერთწლოვანი ბალახებისა—5.707 ცენტნ.

მრავალწლოვანი ბალახებისა—2.202,5 ცენტნ.

შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებსა და კულტურებზე (ცენტნერობით):

| | აზ. სსრ | სომხ. სსრ | საქ. სსრ | ა/კფსრ |
|---|--------------|--------------|--------------|----------------|
| ერთწლოვანი ბალახები | | | | |
| სავაზაფხულო ცერცველა | 1.500 | — | 960 | 2.460 |
| საშემოდგომი „ | — | — | 340 | 340 |
| ბარდა | — | — | 1.280 | 1.280 |
| ოსპი ფრანგული | — | 15 | 1.600 | 1.615 |
| შამბლა | — | 12 | — | 12 |
| სულ ერთწლოვანი ბალახები | 1.500 | 27 | 4.180 | 5.707 |
| მრავალწლოვანი ბალახები | | | | |
| იონჯა | 395 | 325 | 70 | 790 |
| სამყურა ბალახი | — | — | 5,5 | 5,5 |
| ესპარცეტი | — | 1.207 | 200 | 1.407 |
| სულ მრავალწლოვანი ბალახები | 395 | 1.532 | 275,5 | 2.902,5 |

8. ვინაიდან იონჯისა და სხვა მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების დიდი ღირებულება, ამის გამო ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს—გაადიდოს ამ თესლის კონტრაქტაცია ა/კფსრ-ში ამა დადგენილებით განსაზღვრულ რაოდენობამდე (მუ. 7) წინააღმდეგ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1934 წ. თებერვლის 23-ის თარიღის და 193 №-ის დადგენილებით განსაზღვრული ერთწლოვანი ბალახების 710 ცენტნერისა და მრავალწლოვანი ბალახების 1.350 ცენტნერისა, და, ამასთან დაკავშირებით, გამოჰყოს სამრეწველო და სასურსათო საქონლის დამატებითი ფონდები ბალახის თესლის კონტრაქტანტებისათვის მისაცემად (მისაყიდად).

9. ერთწლოვანი პარკოვანი კულტურების (ცერცველა, ბარდა, ოსპი) მეთესლეობის განვითარების წახალისების მიზნით—ჩინდოს ა/კ. წარმომადგენლობას აღძრას სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა ამ კულტურების ა/კფსრ-ში კონტრაქტაციის შესახებ იმ პირობით, რომ ეს კონტრაქტაცია დასაქონლებულ იქნეს 1,8 ცენტნერი პურიით 1 ცენტნერ ჩაბარებულ თესლზე.



10. განთავისუფლებულ იქნეს საკვები ბალახის სათესლეებად განკუთვნილი ფართობები სახელმწიფოსათვის თივა-ფურათის ჩაბარებისაგან იმ პირობით, რომ შესრულებულ იქნება დადგენილი თვისების თესლის ჩაბარების ვალდებულებანი.

11. წინადადება მიეცეს ფონდების კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან; ა) უზრუნველყოს 1934 წ. მე-III და IV კვარტალებში დადგენილი ასსორტიმენტის სამრეწველო საქონლის თავის დროზე შეზიდვა მეთესლეობის რაიონებში, დაადგინოს-რა შემოსაზიდი საქონლის დაბრონირების ვადა, რათა თესლის ჩამბარებლებმა მიიღონ იგი 20 დღეზე „მეთესლეობა-კავშირის“ კონტორების ან სსამონხმარებლო კოპერაციის მიერ შეტყობინების დღიდან, რომ საქონელია მოსულია;

ბ) გამოჰყოს სასურსათო საქონელი და ჩაი, რათა იგი მიეცეს (მიეყიდოს), რესპუბლიკანური „მეთესლეობა-კავშირების“ კონტორების მეშვეობით, მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებს—თესლის საოკეთესო ჩამბარებელთ—ვადამდე ჩაბარებისა და თესლის საუკეთესო თვისებისათვის.

საქონლის გაცემის ვადად განისაზღვროს 1934 წ. მე-III და IV კვარტალი.

12. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას და სასოფლო-სამეურნეო ბანკს—უზრუნველყონ კრედიტების თავის დროზე გაცემა საკვებ ბალახთა თესლის კონტრაქტაციისათვის.

13. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარათა საბჭოებმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყონ ბალახის თესლის მხრით დეფიციტიანი რაიონების 1935 წ. გაზაფხულზე დასათესი ფართობები.

14. დამტკიცებულ იქნეს საკვები ბალახის სათესლე ფონდების დაგროვების შემდეგი გეგმა (იხ. დანართი № 3, 264 გვერდზე).

15. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარათა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და არაიონო საადგილმამულო განყოფილებების გამგეებს—სათესლე ფონდები კოლექტიურ მეურნეობებში დაავროვონ განსაზოგადოებულ ბეღლებში, მარცვლელი კულტურების სათესლე ფონდების დაგროვების ანალოგიურად.

ა/კსფსრ სახალხო კომისარათა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისარათა
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

დანართი № 1.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 4-ის დადგენილებითა „1935 წელს საქონლის საკვები ბალახის თესვის გეგმისა და ამ ბალახის თესლის ჩაბარების სტიმულირებისათვის ხაჭირო ღონისძიებათა შესახებ“

საქონლის საკვები ბალახის სათესლეების ფართობი

ჰექტარობით

| ბალახის სახელწოდება | აზერ. სსრ. | | | სომხ. სსრ. | | | საქართ. სსრ | | | ა/კფსრ | | | |
|--------------------------------|--------------|-------------------------|--------------|-------------|-------------------------|--------------|-------------|-------------------------|--------------|--------------|-------------------------|---------------|-----|
| | საბჭ. მუდრ. | კოლმეკ. და ინდივ. მუდრ. | სულ | საბჭ. მუდრ. | კოლმეკ. და ინდივ. მუდრ. | სულ | საბჭ. მუდრ. | კოლმეკ. და ინდივ. მუდრ. | სულ | საბჭ. მუდრ. | კოლმეკ. და ინდივ. მუდრ. | სულ | სულ |
| ერთწლოვანი ბალახი | | | | | | | | | | | | | |
| საგაზახხულო ცერცველა | — | 5.300 | 5.300 | 80 | 1.390 | 1.470 | 183 | 1.650 | 1.833 | 263 | 8.340 | 8.603 | |
| საშემოდგომო „ | — | — | — | — | — | — | 70 | 210 | 280 | 70 | 210 | 280 | |
| ბარდა | — | — | — | — | — | — | — | 2.170 | 2.170 | — | 2.170 | 2.170 | |
| ოსპი ფრანგული. | — | — | — | — | 75 | 75 | — | 2.322 | 2.322 | — | 2.397 | 2.397 | |
| შამბალა | 300 | — | 300 | — | 36 | 36 | — | — | — | 300 | 36 | 336 | |
| სულ | 300 | 5.300 | 5.600 | 80 | 1.501 | 1.581 | 253 | 6.352 | 6.605 | 633 | 13.153 | 13.786 | |
| მრავალწლოვანი ბალახი | | | | | | | | | | | | | |
| იონჯა | 1.300 | 2.400 | 3.700 | 200 | 388 | 588 | 565 | 200 | 765 | 2.065 | 2.988 | 5.053 | |
| სამყურა | — | — | — | — | 60 | 60 | — | 31 | 31 | — | 91 | 91 | |
| ესპარცეტი | — | — | — | 200 | 1.393 | 1.593 | 200 | 306 | 506 | 400 | 1.689 | 2.099 | |
| სულ | 1.300 | 2.400 | 3.700 | 400 | 2.841 | 2.241 | 765 | 537 | 1.302 | 2.465 | 4.778 | 7.243 | |



ა/კსუბრ ხახლხო კომისართა ხაბუო 1934 წ. ივლისის 4-ის დადგენილებისა „1835 წელს საქონლის საკევი ბალახის თესვის გეგმისა და ამ ბალახის თესვის ჩაბარების სტიმულირებისათვის საკირო ღონისძიებათა შეხახებ“.

საქონლის საკევი ბალახის თესლის გამოსავალი.

ცენტნეროზით

| ბალახის სახელწოდება | ახერბ. სსრ | | | სომხ. სსრ | | | საქართ. სსრ | | | ა/კსუსრ | | |
|--------------------------------|---|--|--|----------------------|--|--|----------------------|--|--|----------------------|--|--|
| | საბჭოთა საქონლის მეცხოვედო და საქონლის მეცხოვედო | საქონლის მეცხოვედო და საქონლის მეცხოვედო | საქონლის მეცხოვედო და საქონლის მეცხოვედო | საბჭოთა მეცხოვედო | საქონლის მეცხოვედო და საქონლის მეცხოვედო | საქონლის მეცხოვედო და საქონლის მეცხოვედო | საბჭოთა მეცხოვედო | საქონლის მეცხოვედო და საქონლის მეცხოვედო | საქონლის მეცხოვედო და საქონლის მეცხოვედო | საბჭოთა მეცხოვედო | საქონლის მეცხოვედო და საქონლის მეცხოვედო | საქონლის მეცხოვედო და საქონლის მეცხოვედო |
| ერთწლოვანი ბალახი | | | | | | | | | | | | |
| საგაზაფხულო ცერცველა | — | 15.900 | 15.900 | 320 | 5.560 | 5.880 | 465 | 7830 | 8.295 | 785 | 29.290 | 30.075 |
| საშემოდგომო | — | — | — | — | — | — | 350 | 840 | 1190 | 350 | 840 | 1.190 |
| ბარდა | — | — | — | — | — | — | — | 13.020 | 13.020 | — | 13.020 | 13.020 |
| ოსპი ფრანგული | — | — | — | — | 300 | 300 | — | 11.610 | 11.610 | — | 11.910 | 11,900 |
| შამბალა | 1.050 | — | 1.050 | — | 144 | 144 | — | — | — | 1.050 | 144 | 1.910 |
| ს უ მ | 1.050 | 1.5900 | 16.950 | 320 | 6.064 | 6.324 | 815 | 33.300 | 34.115 | 2.185 | 55.204 | 57.389 |
| მრავალწლოვანი ბალახი | | | | | | | | | | | | |
| იონჯა | 1.300 | 1.800 | 3.100 | 300 | 582 | 882 | 565 | 180 | 745 | 3.165 | 2.562 | 4.727 |
| სამყურა | — | — | — | — | 18 | 18 | — | 15,5 | 15,5 | — | 33,5 | 33,5 |
| ესპარცეტი | — | — | — | 600 | 4.179 | 4.779 | 800 | 918 | 1.718 | 1.400 | 5.097 | 6.497 |
| ს უ მ | 1.300 | 1.800 | 3.100 | 900 | 4.779 | 5.679 | 1.365 | 1.113,5 | 2.478,5 | 3.565 | 7.692,5 | 11.257,5 |

ა/კვსტრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 4-ის დადგენილებისა „1935 წელს საქონლის საკვები ბალახის თესვის გეგმისა და ამ ბალახის თესვის ჩაბარების სტიმულირებისათვის საკურო ღონისძიებათა შესახებ.“

საქონლის საკვები ბალახის სათესლე ფონდების დაგროვების გეგმა.

(ცენტნერობით)

| ბალახის სახელწოდება | აზერბ. სსრ | | | სომხ. სსრ | | | საქართ. სსრ | | | ა/კვსტრ | | |
|--------------------------------|----------------------|---------------------------|----------------------|----------------------|---------------------------|----------------------|----------------------|---------------------------|----------------------|----------------------|---------------------------|----------------------|
| | მე- და ლაიპაძე | ივანე მეცხრ იაშვილი | მე- და ლაიპაძე |
| ერთწლოვანი ბალახები | | | | | | | | | | | | |
| საგაზაფხულო ცერცველა | — | 14.400 | 14.400 | 80 | 5.560 | 5.640 | 275 | 6.870 | 7.145 | 355 | 26.830 | 27.185 |
| საშემოდგომო „ | — | — | — | — | — | — | — | 500 | 500 | — | 500 | 500 |
| ბარდა | — | — | — | — | — | — | — | 11.740 | 11.740 | — | 11.740 | 11.740 |
| ოსპი ფრანგული | — | — | — | — | 285 | 285 | — | 10.010 | 10.010 | — | 10.295 | 10.295 |
| შამბალა | — | — | — | — | 132 | 132 | — | — | — | — | 132 | 132 |
| ს უ ლ | — | 14.400 | 14.400 | 80 | 5.977 | 6.057 | 275 | 29,120 | 29.395 | 355 | 49.497 | 49.852 |
| მრავალწლოვანი ბალახი | | | | | | | | | | | | |
| იონჯა | — | 1.405 | 1.405 | — | 257 | 257 | 535 | 110 | 645 | 535 | 1.772 | 2.307 |
| სამყურა | — | — | — | — | 18 | 18 | — | 10 | 10 | — | 28 | 28 |
| ესპარცეტი | — | — | — | — | 2.972 | 2.972 | — | 718 | 718 | — | 3.690 | 3.690 |
| ს უ ლ | — | 1.405 | 1.405 | — | 3.247 | 3.247 | 535 | 838 | 1.373 | 535 | 5.490 | 6.025 |

112. ა/კსფსრ-ში მეკამეჩეობის განვითარების შესახებ.

მეკამეჩეობის განვითარებისა და საჩქაროდ კამეჩთა რაოდენობის აღდგენისა და გადიდების მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) მოაწყონ 1934 წლის განმავლობაში ა/კსფსრ ტერიტორიაზე არა ნაკლებ, ვიდრე 23 სპეციალური მეკამეჩეობის სასაქონლო ფერმა; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ში ათ-ათი ფერმა და სომხეთის სსრ-ში 3 ფერმა—განსაზოგადოებელი ნახირის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების მდგომარეობაზე გადაყვანით და აგრეთვე შესყიდვით, შენახვით და რაც შეიძლება უკეთესად გამოზრდით;

ბ) შეამოწმონ 1934 წ. ივლისის 20-დე, რამდენად უზრუნველყოფილია კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებელი კამეჩების ნახირი და აგრეთვე კოლმეურნეობებისა და მშრომელ ინდივიდუალური მეურნეობების პირად სარგებლობაში მყოფი კამეჩები სანაშენო კამეჩებით და იხმარონ ღონისძიებანი, რათა 1934 წელს 100 პროცენტით დაგრილებულ იქნეს სანაშენოდ ვარჯის ყველა ფურკამეჩი—საზოგადოებრივ სანაშენო კამეჩების შექმნით, არსებულ სანაშენო კამეჩების გარდანაწილებით და დაგრილებული ფურ-კამეჩების მიძიმე სამუშაოებისაგან განთავისუფლებით;

გ) მოაწყონ კოლექტიურ მეურნეობებში, კოლმეურნეობთან და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეობებში 1933 და 1934 წლების მონაშენი საუკეთესო ზაქების საჯიშოდ გამოზრდა 2.000 სულის რაოდენობით; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—1.200 სული, სომხეთის სსრ-ში—200 სული და საქართველოს სსრ-ში—600 სული; გაავრცელონ იმ კოლმეურნეობებზე და ინდივიდუალურ მეურნეობებზე, რომელნიც, ხელშეკრულების მიხედვით, ზრდიან საჯიშოდ საკამეჩო მოზარდობას, ის შეღავათები, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კონსტრუქციული პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. აგვისტოს 14-ის დადგენილებით „უძროხო კოლმეურნეთათვის მროხების შექმნაში დახმარების გაწვევის შესახებ“ რძისა და კარაქის ჩაბარების სფეროში.

მიენდოს ა/კ. წარმომადგენლობას (აშხ. ოლინს)—აღძრას შუამდგომლობა სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღნიშნული შეღავათების იმ კოლმეურნეობებზე და ინდივ. მეურნეობებზე გავრცელების შესახებ, რომელნიც ზრდიან აქებს.

2. ფურ-კამეჩების ბერწობასთან ბრძოლისა და მოზარდობის შენარჩუნების იზნით—დაწესებულ იქნეს დაგრილებისა და მონაშენის შენარჩუნებისათვის მშრომა-დღეების დამატებითი დარიცხვა იმ კოლმეურნეთა შრომა-დღეებზე, რომელნიც ფურ-კამეჩებზე მუშაობენ და უვლიან მათ; თანაც პრაქტიკად იქნეს შემოღებული გამოკლება (ჯარიმა) თვითეულ მომკვდარ ზაქზე კოლმეურნის მიერ გამოუმუშავებული შრომა დღეების 15 პროცენტამდე.

3. ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს დებულება მეკამერეობის ფერმებში შრომის ორგანიზაციის შესახებ, ცალკეული სახის სამუშაოებისათვის სანიმუშო ნორმებისა და შეფასების დაწესებით.

4. კამერების ჯიშინობაზე მუშაობის გაძლიერების მიზნით—მიენდოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—მოაწყონ ა/კფსრ-ში 1935 წ. იანვრის 1-დე 8 მეკამერეობის საჯიშო ფერმა კოლექტიურ მეურნეობებში; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—4, სომხეთის სსრ-ში—1 და საქართველოს სსრ-ში—3 ფერმა, უზრუნველჰყონ-რა ეს ფერმები სათანადო კრედიტებით დეფიციტიანი საშენი მასალით საპირველრიგო მომარაგებით და ზოტექნიკური, დახმარებით.

5. მიენდოს ა/კფსრ სამეცნიერო-საკვლეო ზოტექნიკურ ქსელს—შეიმუშაოს და ვაპოსცეს 1934 წლის განმავლობაში პოპულარული ლიტერატურა მერძეული ფურ-კამერის შერჩევისა, კამერების მოშენებისა, კამერების შენახვისა, მოვლისა და კვების საკითხების შესახებ, და აგრეთვე, ა/კფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს მეკამერეობის ზოო-ვეტმინიშუმი.

6. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს—ხბობებთან ერთად დააკონტრაქტონ და გადასცენ უძროხო კოლმეურნეებს აგრეთვე ზაქები იმ რაიონებში, სადაც უპირატესად განვითარებულია მეკამერეობა.

7. მიენდოს „ა/კ. კავშირს“—შეიმუშაოს საკითხი ფურ-კამერებით ქალაქების საგარეთუბნო მეურნეობათა ნახირის დაკომპლექტების შესაძლებლობის შესახებ ამ მეურნეობების სარძეო-სასაქონლო პროდუქციის გამოსაყენებლად, და წარმოუდგინოს ა/კფსრ სახალხო კომისარიატს საბჭოს. თავისი წინადადებანი.

ა/კფსრ სახალხო კომისარიატს

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კფსრ სახალხო კომისარიატს

საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ივლისის 4.
ტფილისი.

113. ამიერკავკასიის რესპუბლიკანური ხავაჭრო ორგანოებისათვის მოხკოვში შემსყიდველი კონტორის მოწყობის შესახებ.

ა/კფსრ სახალხო კომისარიატს საბჭო აღდგენს:

1. მოწყობილ იქნეს 1934 წლის ივლისის 15-დან ა/კ. წარმომადგენლობასთან მოსკოვში ამიერკავკასიის ხავაჭრო ორგანოებისათვის შენსყიდველი კონტორი.

2. შემსყიდველი კონტორის შტატი დამტკიცებულ იქნეს 5 კაცის შედგენილობით და ამ რიცხვის კვალობაზე უფლება მიეცეს თვითნებულ რესპუბლიკას

წარგზავნოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც აღჭურვილ იქნება რესპუბლიკის ყველა სავაჭრო ორგანოს (სამრეწველო ვაჭრობისა, საქმადო ვაჭრობისა და ავტონომიური რესპუბლიკების სავაჭრო ორგანოების) წმუნებულობით.

3. რესპუბლიკანური სავაჭრო ორგანოების რწმუნებულთა მუშაობის კოორდინაციისა და ამ მუშაობის მთავარი სავაჭრო ორგანოს და სხვა ორგანიზაციების მუშაობასთან დაკავშირების მიზნით შემსყიდველი კანტორის სათავეში დაყენებულ იქნეს სპეციალური მომუშავე, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი, და მიეცეს მას ერთი ტექნიკური თანამშრომელი.

4. დაწესებულ იქნეს, რომ რესპუბლიკანური სავაჭრო ორგანოების წარმომადგენელნი მოქმედობენ ამ ორგანოების მინდობილობით და მათ ხარჯზე და არიან მათ წინაშე უშუალოდ ანგარიშშემგებელნი.

5. მთლად კონტორის შესანახი ხარჯი დაეკისროს რესპუბლიკანურ სავაჭრო ორგანოებს იმის შესაბამისად, თუ თვითეული მათგანი რა მონაწილეობას მიიღებს შესყიდვებში კონტორის მეშვეობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს საქმეთა მმათველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ივლისის 8.
 ტფილისი.

114. 1935 წელს საგაზაფხულო კულტურებისათვის მძრალად ხვნის ჩატარების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1935 წელს საგაზაფხულო კულტურებისათვის მძრალად ხვნის გეგმა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით დამტკიცებულ იქნეს 316.000 ჰექტარის რაოდენობით და შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებსა და სექტორებზე (ათასი ჰექტარობით):

| რესპუბლიკები | მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მუშურნეობანი | საკოლმეურნეო საფლევზ სექტორი. | აქედან | | | სულ |
|----------------------------|--|-------------------------------|----------------|----------------------------|-----------------|-----|
| | | | კოლმეურნეობანი | ინდივიდუალური მუშურნეობანი | ფუნქციონირებანი | |
| აზერბაიჯანის სსრ | 9,0 | 142,0 | 132,0 | 10,0 | 151,0 | |
| სომხეთის სსრ | 0,8 | 76,0 | 55,0 | 21,0 | 76,8 | |
| საქართველოს სსრ | 6,2 | 82,0 | 43,0 | 39,0 | 88,2 | |
| ა/კსფსრ | 16,0 | 300,0 | 230,0 | 70,0 | 316,0 | |

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემაჯავლი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაავალონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) მიაწვდინონ ორი დეკადის ვადაზე კულტურებისათვის მძრალად მოხვნის გეგმები თვითეულ რაიონამდე, საბჭოთა მეურნეობამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე; სამანქანო-სატრაქტორო სადგურამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე; მოაწყონ ადგილობრივ მძრალად მოხვნის გეგმისა და ამ მოხვნასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა (აგროწესების განხორციელება, ნათესის აღება პირველ რიგში მძრალად მოხვნისათვის დანიშნულ ნაკვეთებზე, საწვევი ძალისა და სატრაქტორო პარკის განმზადება და სხვა მისთ.);

ბ) დააწესონ რაიონებისა და კულტურების მიხედვით მძრალად მოხვნის საკალენდრო ვადები (დაწყება და ბოლო) და უზრუნველყონ, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების აგროპერსონალისა, სათვისებო ინსპექციისა და საკოლმეურნეო მოსავლიანობის საბჭოების მეშვეობით, ადგილებზე აგროტექნიკური კონტროლი ხვნის თვისებისათვის (ხვნის სიღრმე 18-20 სანტიმ., ხარვეზების აცილება და სხვა მისთ.);

გ) დაამუშაონ ერთი თვის ვადაზე მძრალად მოხვნის მოცულობის გეგმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში (იმ კოლექტიური მეურნეობების ხაზით, რომელთაც მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწყენ), სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სატრაქტორო პარკის მთელი დატვირთვის გამოყენებით—კოლექტიური მეურნეობების ცოცხალი საწვევ ძალასთან ერთად.

3. მძრალად მოხვნის გეგმა სხვა სისტემის ხაზით (მუშათა მომარაგების განყოფილებანი, მომარაგების სახალხო კომისარიატი, საბჭოთა მეურნეობის სახალხო კომისარიატი, სხვა საბჭოთა მეურნეობანი) განისაზღვროს 15.000 ჰექტარის რაოდენობით.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისას—განაწილოს ერთი დეკადის ვადაზე აღნიშნული 15.000 ჰექტარი რესპუბლიკებსა და ცალკეულ სისტემებზე და, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან შეთანხმებით, წარმოუდგინოს განაწილება ა/კსფსრ სახალხო კომისართ საბჭოს დასამტკიცებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსხაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

115. 1934 წელს აზერბაიჯანის სსრ-ში და საქართველოს სსრ-ში ბოსტნეულის საშემოდგომო თესვის გეგმის შეხახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1934 წელს ბოსტნეულის საშემოდგომო თესვის გეგმა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით განისაზღვროს 3.868 ჰექტარის რაოდენობით; აქედან: 131 ჰექტარი მეთესლეობის დარგის ნათესებით; გეგმა განაწილებულ იქნეს რესპუბლიკებსა და სექტორებზე შემდეგნაირად (ჰექტარობით):

| ნ ა თ ე ს ე ბ ი | აზ. სსრ | საქ. სსრ | ა/კსფსრ |
|--|--------------|--------------|--------------|
| ხასურსათო ნათესები. | | | |
| 1. მიწათმოქმედ. სახ. კ-ტის საბჭ. მეურნეობანი | 18 | 150 | 168 |
| 2. კოლექტიური მეურნეობანი | 836 | 721 | 1.557 |
| 3. ინდივიდუალური მეურნეობანი | 659 | 1.353 | 2.012 |
| ს უ ლ | 1.513 | 2.224 | 3.737 |
| მეთესლეობის ნათესები. | | | |
| 1. კოლექტიური მეურნეობანი (მეთესლეობისა) | 5 | 126 | 131 |
| ს უ ლ | 5 | 126 | 131 |
| მ თ ლ ა დ | 1.518 | 2.350 | 3.868 |

2. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაავალონ აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) მიაწვდინონ 1934 წ. აგვისტოს 1-მდე რესპუბლიკებისათვის დადგენილი გეგმები, ძირითად კულტურებზე დანაწილებით, რაიონებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე და ინდივიდუალურ მეურნეობებამდე და მოაწყონ გეგმების დამუშავება ადგილებზე;

ბ) 1934 წლის შემოდგომაზე დასათესი ფართობების მოხვნა, შემდგომი დაფარცხვით, დაიწყონ გაზაფხულზე დათესილი კულტურების მოსავლის აღებისათანავე და ხვნა მთლად დაამთავრონ 1934 წლის ოქტომბრის 1-თვის;

გ) გადამწვარი ნაკელის შეტანა და ჩახვნა დაფარცხვითურთ დაამთავრონ 5—10 დღით ადრე თესვის დაწყებამდე, ხოლო ახალი ნაკელისა—პირველ მოხვნამდე; თანაც ნაკელი დაუყოვნებლივ უნდა ჩაიხვნას;



დ) თესვა ნიადაგში დაიწყონ არა უგვიანეს აგვისტოს 15-სა და დამთავრობის 1934 წ. დეკემბრის 1-სათვის;

ე) შიდაციონ განსაკუთრებული ყურადღება ბოსტნეული კულტურების მანებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარებას და თავის დროზე უზრუნველყოფნა მიუზღებანი სათანადო შხამეული მასალით და აპარატურით.

3. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაავალონ:

ა) რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—უზრუნველყოფნა საშემოდგომო მებოსტნეობის რაიონები სათანადო აგროტექნიკური მომსახურებით, ცალკეული ძირითადი საწარმოების დაწყებისა და დამთავრების ვადების აღნიშნით (მოხვნა, თესვა, რგვა, დამუშავება და სხვ.) თვითთელი რაიონის კონკრეტული პირობების მიხედვით;

ბ) „სოიუსსემენოვოდის“ ორგანოებს რესპუბლიკებში, აშხ. ლომთათიძისა და აშხ. აშურლის პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველყოფნა 1934 წ. ივლისის 25-მდე მთლად მთესველები თესლით, რისთვისაც მათ უნდა დააჩქარონ სადეფეციტო თესლის შემოზიდვა.

4. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს—განსაზღვრონ 1934 წ. აგვისტოს 1-მდე ბოსტნეულის საშემოდგომო თესვის გეგმა სხვა სისტემების ხაზით: „ა/კ. კავშირისა“, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სამეურნეო განყოფილებებისა, ამიერკავკასიის რკინის გზებისა, კასპიისა და ტფილისის სამომხმარებლო საზოგადოებისა, ბაქოს საბჭოს და სხვ. ხაზით, და დასახონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს მიღებული გეგმის აღსრულებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუხაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ივლისის 16.

ტფილისი.

116. 1935 წელს ა/კსფსრ სოფლებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა ა/კსფსრ სოფლებსა და ქალაქებში ჩატარებულ უნდა იქნეს იმ საფუძვლებზე, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ივლისის 19-ის დადგენილებით „1935 წელს სოფლებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სრ. რუს. ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტიას“ 167 (5415) №-ი 1934 წ. ივლისის 20-სა).

აღნიშნული დადგენილების თანახმად და განსაზღვრულად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების I-ლი კარის მე-4 მუხლის „ა“ ლიტერას თანახმად, შეუძლიანთ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით და სსრკ-ის და ა/კსფსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოებთან შეთანხმებით, შემოიღონ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი სხვადასხვა სახის დაზღვევა ისეთ ადგილებშია, სადაც იგი 1934 წელს ჩატარებულლი არ იყო, და აგრეთვე გაავრცელონ დაზღვევა ყველა სტიქიური მოვლენისაგან ისეთ სპეციალურ და ტექნიკურ კულტურებზედაც, რაც გათვალისწინებულ არ არის აღნიშნული დადგენილებით.

2. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების I-ლი კარის მე-4 მუხლის „ბ“ ლიტერას თანახმად, ა/კსფსრ ყველა იმ რაიონში, სადაც 1935 წელს შემოღებულ იქნება დასეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა, დაწესებულ იქნეს ყველა სტიქიური მოვლენისაგან დასაზღვევ თამბაქოზე დამატებითი სადაზღვეო საზღაურის გაცემა დასეტყვის გამო თვისების დადაბლებისათვის.

3. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-II კარის მე-10 მუხლის „ა“ ლიტერას თანახმად, დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის დასეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევაზე სადაზღვეო უზრუნველყოფის შემდეგი საშუალო ხორმები (პექტარზე):

| რესპუბლიკები | მარცხენი, ცენტრები, მუხუჭები, ნათესი ბაღები და სოფლო კულტურები (მანეთობით.) | ბოსტნები, ბალჩები და მანახები (მანეთობით) | კარტოფი, ფესკანები, ტყვინი, კულტურები, იმათ გარდა, რაც იზღვევა ყველა სტიქი. მოვლენისაგან (მანეთობით.) |
|---|---|---|---|
| აზერბაიჯანის სსრ | | | |
| კოლ. მეურნ. და პირველადი კოოპერატივები. | 82 | 743 | 245 |
| კოლმეურნენი | 60 | 611 | 180 |
| ინდივიდუალური მეურნეობანი | 60 | 576 | 175 |
| სომხეთის სსრ | | | |
| კოლექ. მეურნეობ. და პირველადი კოოპერატივები | 90 | 1.007 | 140 |
| კოლმეურნენი | 60 | 690 | 125 |
| ინდივიდუალური მეურნეობანი | 60 | 668 | 95 |
| საქართველოს სსრ | | | |
| კოლექ. მეურნეობ. და პირველადი კოოპერატივები | 79 | 1.013 | 190 |
| კოლმეურნენი | 60 | 886 | 135 |
| ინდივიდუალ. მეურნეობანი | 60 | 817 | 130 |

4. სტიქიურ მოვლენათაგან ბამბისა და თამბაქოს დაზღვევაზე დაწესებული იქნეს სადაზღვევო უზრუნველყოფის შემდეგი საშუალო ნორმები:

| რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი | მეცობტური ბამბა (მანეთობით) | ამერიკული ბამბა (მანეთობით) | თამბაქო (უფსაგეთობით) (მანეთობით) | აფხაზეთის თამბაქო (მანეთობით) |
|--|-----------------------------|-----------------------------|-----------------------------------|-------------------------------|
| აზერბაიჯანის სსრს | | | | |
| კოლექ. მეურნ-ბანი და პირველადი კოოპ-ბი. | 255 | 155 | 1.300 | — |
| კოლმეურნენი და ინდივ. მეურნ-ბანი | — | 135 | 1.000 | — |
| სომხეთის სსრ | | | | |
| კოლექ. მეურნ-ბანი და პირვ. კოოპ-ბი | — | 145 | 1.200 | — |
| კოლმეურნენი და ინდივ. მეურნეობანი | — | 125 | 900 | — |
| საქართველოს სსრ | | | | |
| კოლექ. მეურნეობ. და პირვ. კოოპ-ბი | — | 140 | 1.400 | 1.600 |
| კოლმეურნენი და ინდივ. მეურნეობანი | — | 120 | 1.100 | 1.250. |

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ:

ა) გაადიდონ ან შეამცირონ სადაზღვევო უზრუნველყოფის საშუალო ნორმები ყველა სტიქიური მოვლენისაგან დასაზღვევი ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის საშუალოდ არა უმეტეს, ვიდრე 10 პროცენტით;

ბ) გაადიდონ ან შეამცირონ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მეშუხლში აღნიშნული სადაზღვევო უზრუნველყოფის ნორმები გვალვისაგან სელისა და კანაფის და გვალვისაგან და შქარლობისაგან წითელი საყურა-ბალახის სათესლეების დაზღვევისათვის არა უმეტეს, ვიდრე 25 პროცენტით;

გ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით და სსრკ-სა და ა/კსფსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოებთან შეთანხმებით, დააწესონ პასუხისმგებლობის ნორმები იმ სახის დაზღვევისათვის, რაც მათ მიერ დამატებით იქნება შემოღებული.

6 მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დაზღვევაზე დაწესებულ იქნეს სადაზღვევო უზრუნველყოფის შემდეგი საშუალო ნორმები:

| რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი | კოლექტ. მეურნ. და პირველადი კოოპერატივ. (მანეთობით). | კოლმეურნენი (მანეთობით). | ინდივიდუალური მეურნეობანი (მანეთობით). |
|----------------------------|--|--------------------------|--|
| აზერბაიჯანის სსრ | 151 | 129 | 125 |
| სომხეთის სსრ | 137 | 130 | 123 |
| საქართველოს სსრ | 144 | 128 | 125 |

შენიშვნა. სადაზღვევო უზრუნველყოფის საშუალო ნორმების დიფერენციაციის დროს მსხვილდება რქოსანი საქონლის მოზარდობისათვის წლოვანობით 6 თვიდან 1 წლამდე და ცხენებისა, ჯორებისა, ჯორცხენებისა და ვირებისათვის წლოვანობით 1 წლიდან (ხოლო ჯიშთანებისათვის—6 თვიდან) 2 წლამდე დაწესდება 50 პროცენტით შემცირებული ნორმები შედარებით იმ ნორმებთან, რაც აღნიშნულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-7 მუხლში.

7. ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-7, 8 და 9 მუხლებით და ამა დადგენილების მე-3, 5 და 7 მუხლებით გათვალისწინებულ ფარგლებში, აწესებენ უზრუნველყოფის ნორმებს რაიონებისა (ან რაიონების ნაწილებისა) და ქალაქებისათვის.

8. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-III კარის მე-19 მუხლის „ბ“ ლიტერას თანახმად, დასეტყვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევისათვის დაწესებულ იქნეს სადაზღვევო გადასახადის (ტარიფები) შემდეგ საშუალო განაკვეთები მანეთობით სადაზღვევო უზრუნველყოფის 100 მანეთზე:

| რესპუბლიკები | კოლექტიური მეურნეობანი და ბირველადი კოოპერატივები (მანეთობით) | კოლმეურნენი (მანეთობით) | ინდივიდუალური მეურნეობანი (მანეთობით) |
|----------------------------|---|-------------------------|---------------------------------------|
| აზერბაიჯანის სსრ | 2,42 | 3,80 | 4,64 |
| სომხეთის სსრ | 3,12 | 4,80 | 5,87 |
| საქართველოს სსრ | 2,93 | 4,60 | 5,58 |

9. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-14 და 17 მუხლების და ამა დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები აწესებენ:

ა) ტარიფების განაკვეთებს რაიონებისა და ქალაქებისათვის;

ბ) ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით და სსრკ-ის და ა/კსტსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოებთან შეთანხმებით, —ტარიფებს იმ სახის დაზღვევისათვის, რაც მათ მიერ დამატებით იქნება შემოღებული.

10. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 28 მუხლით განსაზღვრული ვადების კვალობაზე - ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები აწესებენ სადაზღვევო გადასახადის გადახდის ვადებს რაიონებისა და ქალაქებისათვის.

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შენგვადი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა, არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 5-სა, უნდა მიიღონ და გამოაქვეყნონ დადგენილებანი ამ საკითხზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეგოვი

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი

1934 წ. ივლისის 29
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 177 №-ში 1934 წ. აგვისტოს 1-ს.

